რომის სამართალი

ფინალური გამოცდის კონსპექტი

ნუგზარ სურგულაძე

2 ქულა

1. ჩამოთვალეთ რომის სამართლის წყაროები (2 ქულა)

რომის სამართლის წყაროებია:

- ადათი (ლათ. **Mos**);
- კანონი (**Lex**);
- მაგისტრატების ედიქტები;
- იურისტთა ნაშრომები.

2. განმარტეთ კოლონატი (2 ქულა)

მიწის იჯარით ამღებს, მიწის არენდატორს, ანუ წვრილ ფერმერს კოლონატი(კოლონი) ეწოდებოდა.

3. განმარტეთ კონკუბინატი (2 ქულა)

კონკუბინატი არის ფაქტობრივი(არაიურიდიული) ქორწინება. ამ შემთხვევაში მამაკაცი და ქალი ერთად ცხოვრობენ, შესაძლოა მათ შვილებიც ჰყავდათ, მაგრამ ქორწინებას იურიდიულად ვერ აფორმებდნენ სოციალური განსხვავების გამო. მაგალითად, სენატორი ვერ დაქორწინდებოდა გაზატებულ ქალზე.

4. განმარტეთ ლეგატი (2 ქულა)

ლეგატი არის მოანდერძის მიერ გაცემული განკარგულება,მისი სიკვდილის შემდგომ გადაეცათ მისი ქონება ან ქონების ნაწილი ამა თუ იმ პირისათის (არამემკვიდრისთვის), ან შეესრულებინა მემკვიდრეს რაიმე მოქმედება ლეგატორის სასარგებლოდ.

5. განმარტეთ პეკულიუმი (2 ქულა)

პეკული არის მონათმფლობელის ის ქონება, რომელიც სამართავად და სარგებლობის მოსატანად ჩაბარებული ჰქონდა მონას. პეკული შეიძლება ყოფილიყო მიწის ნაკვეთი, ფული და სხვ. მონისთვის შეიძლება ჩაებარებინათ საწარმო, ხომალდი და ა.შ. ასეთ ვითარებაში მონა დებდა გარიგებას, პასუხისმგებლობა კი მონათმფლობელს ესკისრებოდა.

პეკული მონის ექსპლუატაციის გზით მონათმფლობელის გამდიდრების საშუალება იყო, თუმცა ამ გზით მონასაც უუმჯობესდებოდა პირობები და ზოგჯერ ახერხებდა კიდეც მონობიდან თავის დაღწევას.

6. განმარტეთ უნივერსალური და სინგულარული მემკვიდრეობა (2 ქულა)

- **უნივერსალური** – ისეთი მემკვიდრეობა,როდესაც მემკვიდრეზე გადადიოდა სამკვიდროს დამტოვებლის უფლებაც და დაკისრებული მოვალეობაც.
- **სინგულარული** – მემკვიდრეობის ძალით მემკვიდრეზე გადადიოდა ცალკეული უფლებები.

7. იუსტინიანეს Corpus Iuris Civilis-ის შედგენილობა (2 ქულა)

„კორპუს იურის ცივილის“-ი შედგება:

- ინსტიტუციები;
- დიგესტები ანუ პანდექტები;
- იუსტინიანეს კოდექსი ;
- ნოველები.

3 ქულა

8. იუსტინიანეს კრებულის გადამუშავების შედეგად შექმნილ კანონთა კრებულები (3 ქულა)

იუსტინიანეს კრებულის გადამუშავების შედეგად მიღებულ იქნა:

- **ეკლოგა (740 წ.);**
- **ბაზილიკა (886–912 წწ.** ბასილ მაკედონელისა და ლეონ ფილოსოფოსის მიერ);
- **პროხეირონი** (ბერძნული სიტყვაა და დახმარებას ნიშნავს) გამოცემულია **1300 წელს;**
- **კონსტანტინე არმენოპულოს 1345 წლის** ექვსწიგნეული.

9. რომის სამართლის გავლენა ძველ ქართულ სამართალზე (3 ქულა)

რომის სამართალს გავლენა ჰქონდა ქართულ სამართალზე.ამის პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთია "დიდი სჯულის კანონი", რომელიც XI-XII საუკუნეების მიჯნაზე ბერძნულიდან თარგმნა არსენ

იყალთოელმა და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შესული „სამართალი ბერძნული". ვახტანგ მეექვსეს სწავლულ კაცთა საკოდიფიკაციო კომისიას ბერძნული სამართლის ქართული ვერსია ამოკრებილი უნდა ჰქონდეს კონსტანტინე არმენოპულოს ექვსწიგნეულიდან,რომელიც რომის სამართლის რეცეფციის შედეგად მიიღეს.რადგანაც არმენოპულოს სამართალი საბერძნეთში მოქმედებდა,კომისიამ ბერძნული სამართლის სახელით გადმოიტანა საქართველოში.ფაქტობრივად კი, იგი რომის სამართალი იყო.

10. იმპერატორის კონსტიტუციები (3 ქულა)

- **ედიქტები** – საერთო სავალდებულო განკარგულებები
- **რესკრიპტები** – ცალკეულ სამქეებზე გამოცემული განკარგულებები
- **მანდატები** – იმპერატორის მიერ მოხელესთვის მიცემული დავალება(ინსტრუქცია)
- **დეკრეტები** – იმპერატორის გადაწყვეტილება მასთან შესულ სადაო საქმეზე

11. ლათინების და პერეგრინების სტატუსი (3 ქულა)

- **ლათინებს,**რომლებიც ლაციუმში ცხოვრობდნენ ჰქონდათ კომერციის უფლება,აგრეთვე სასამართლოში თავიანთი სახელით გამოსვლის უფლება.ასევე ჰქონდათ უფლება რომაელ მოქალაქეებთან ქორწინების და ზოგჯერ სახალხო კრებებში ხმასაც აძლევდნენ.მეორე კატეგორიის ლათინები ცხოვრობდნენ რომის კოლონიებსა და პროვინციებში.მათ მექანიკურად მიენიჭათ რომაელი მოქალაქეების თანასწორი უფლებები.თუმცა არ ჰქონდათ რომაელ მოქალაქეებზე დაქორწინების უფლება.მესამე კატეგორიის ლათინები იყვნენ გაზატებული პირები.მათ არ ჰქონდათ პოლიტიკური უფლებები და გარდაცვალების შემდეგ მათი ქონება წინანდელ პატრონს გადასდიოდა ხელში.
- **პერეგრინებს,**ეს იყო რომის სახელმწიფო ტერიტორიაში შემავალ პროვინციებში მცხოვრები ხალხი,რომელთაც არც მოქალაქეობისა და არც ლათინების უფლებები არ ჰქონდათ.მათთვის შექმნილი იყო ცალკე სამართალი – **ius gencium (იუს გენციუმ)**.ამ სამართლით რეგულირდებოდა სამოქალაქო–სამართლებრივი ურთიერთობები პერეგრინებსა და რომაელებს შორის.

12. მაგისტრატების საქმიანობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები (3 ქულა)

მაგისტრატებისთვის დამახასიათებელი იყო შემდეგი ნიშნები:

- **არჩევითობა** - ისინი გარკვეული წესითა და პროცედურებით უნდა არჩეულიყვნენ;
- **ვადიანობა -** საერთო წესით ყველა მაგისტრატს ერთი წლით ირჩევდნენ;
- **კოლეგიურობა -** თითოეულ თანამდებობაზე (გარდა დიქტატორისა) რამდენიმე პირს ირჩევდნენ. მართალია,მაგისტრატებს შორის უფროს-უმცროსობა დაცული იყო, მაგრამ ცალკეული მაგისტრატის თვითნებობა იზღუდებოდა სხვების მიერ.საკითხის გადაწყვეტა ურთიერთშეთანხმებით ხდებოდა.
- **უსასყიდლობა -** მაგისტრატებს გასამრჯელო არ ეძლეოდათ. აქედან გამომდინარე, ამ თანამდებობას ღარიბი,უქონელი კაცი ვერ დაიკავებდა.რესპუბლიკის მეორე პერიოდში მაგისტრატები ფორმალურად არ იღებდნენ ხელფასს,მაგრამ თავიანთი თანამდებობით,ფაქტობრივად მდიდრდებოდნენ.
- **ანგარიშვალდებულება -** მაგისტრატებს ირჩევდა ხალხი სახალხო კრებებზე,მაგრამ მაგისტრატები თავიანთი მოვალეობის განხორციელებისას ხალხზე აღარ იყვნენ დამოკიდებულნი.მათი საქმიანობა განისაზღვრებოდა სპეციალური კანონით.ჩვეულებრივ,მაგისტრატების ანგარიშვალდებულების საკითხი დგებოდა არა ყოველთვიურად ან ყოველწლიურად,არამედ მათი თანამდებობის ვადის დასრულების შემდეგ.ზოგიერთი მაგისტრატი ანგარიშვალდებულებას არ ექვემდებარებოდა, მაგალითად,დიქტატორი,ცენზორი,პლებსის ტრიბუნი.

13. პირის სტატუსი (3 ქულა)

დღევანდელ იურიდიულ პრაქტიკაში პირის უფლება იქონიოს სამოქალაქო უფლებები,ნიშნავს,რომ იგი არის უფლებაუნარიანი.რომაულ სამართალში უფლებაუნარიანობის აღსანიშნავად იყენებოდა ტერმინი - **caput**.პირის სრული უფლებაუნარიანობა,ანუ უფლებამოსილება იწოდებოდა - **status** და შედგებოდა სამი ელემენტისაგან:

1. **თავისუფლების სტატუსი (status libertatis)** - განასხვავებდნენ თავისუფლებსა და არათავისუფლებს;
2. **მოქალაქეობის სტატუსი (status civitatis)** - განასხვავებდნენ რომაელ მოქალაქეებსა და არარომაელებს: ლათინები, პერეგინები და სხვა;
3. **საოჯახო სტატუსი (status familiae)** - განისაზღვრებოდა რომაელი მოქალაქის მდგომარეობა

ოჯახში, იგი იყო ოჯახის სრულუფლებიანი **უფროსი (pater familias)**,ოჯახის შეუზღუდავი გამგებელი თუ ხელქვეითი.ამა თუ იმ სტატუსით გათვალისწინებული პირის მდგომარეობა შეიძლება შეცვლილიყო.სტატუსის ცვლილებას კაპიტუსი (**capitis deminutio**) ეწოდებოდა. თავისუფლების სტატუსში ცვლილებას მაქსიმალური ეწოდებოდა,მოქალაქეობის სტატუსში ცვლილებას - საშუალო,ხოლო საოჯახო სტატუსში ცვლილებას - მინიმალური.

14. რომის სახელმწიფოს და სამართლის პერიოდიზაცია (3 ქულა)

რომის სახელმწიფოს ისტორია იყოფა შემდეგ პერიოდებად :

1. **რექსების ხანა (ძვ.წ. 753–510 წწ.);**
2. **რესპუბლიკის ხანა(ძვ.წ 510–27 წწ.);**
3. **იმპერიის პერიოდი (ძვ.წ. 27 – ახ.წ. 476 წწ.).**

რომის სამართლის განვითარების ხუთი პერიოდი:

1. **არქაული პერიოდი (ძვ.წ. 753–367 წწ.);**
2. **წინაკლასიკური პერიოდი (ძვ.წ. 367–27 წწ);**
3. **კლასიკური პერიოდი (ძვ.წ. 27 – ახ.წ. 284 წწ.);**
4. **პოსტკლასიკური პერიოდი (ახ. წ. IV-V სს);**
5. **იუსტინიანეს პერიოდი (527–565 წწ.).**

15. რომის თავისუფალ მოქალაქეთა მდგომარეობა (3 ქულა)

რომის მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა სამოქალაქო სამართალში გულისხმობდა, ანუ მოიცავდა ორ ძირითად უფლებას:

- **ქორწინების უფლება** – ამ დროს აუცილებელი იყო,რომ არ არსებულიყო მექორწინეთა შორის სოციალური განსხვავება,წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ქორწინების უფლება არ მიეცემოდათ.
- **კომერციის უფლება,ანუ ქონების შეძენისა და გასხვისების უფლება** – ეს უფლება გააჩნდათ თავდაპირველად მხოლოდ ძირძველ რომაელებს. შეძენა და გასხვისება რომაელებს შეეძლოთ ნებისმიერი ნივთის,რაც სამოქალაქო ბრუნვიდან არ იყო ამოღებული. (მაგ.: საწამლავი)

16. საკუთრების უფლების დაცვის საშუალებები (3 ქულა)

რომაული სამართლით საკუთრების უფლების დაცვის სამი გზა არსებობდა:

- **ვინდიკაცია (vindicatio); -** თუ მესაკუთრე დაკარგავდა ნივთს,მას შეეძლო წარედგინა მოთხოვნა ჩამორთმეოდა ნივთი უკანონო მფლობელს.
- **ნეგატორული სარჩელი (action negatoria); -**გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში,როდესაც ნივთი ან ქონებამესაკუთრეს ჰქონდა,მაგრამ გარეშე პირი ავიწროებდა მას და ხელს უშლიდა ნივთის სურვილისამებრ გამოყენებაში.
- **მესაკუთრის მიმართ რაიმე მოქმედების შესრულების აკრძალვა (action prohibitoria) -** იმის მოთხოვნას ნიშნავდა,რომ აკრძალვოდა მესამე პირს შეესრულებინა რაიმე მოქმედება ნივთის მიმართ მესაკუთრის საზიანოდ.

17. ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები (3 ქულა)

რომაელ იურისტთა უმეტესობა თვლიდა,რომ ვალდებულების წარმოშობის ორი საფუძველი არსებობდა:

1. ვალდებულებანი,რომლებიც წარმოიშობა ხელშეკრულებიდან - **contractus**
2. ვალდებულებანი,რომლებიც წარმოიშობა ზიანის მიყენებიდან ანუ დელიქტიდან - **delictum.**

გაიუსი 4 საფუძველს ასახელებს:

1. ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებები
2. ფსევდოხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებები
3. ზიანის მიყენებიდან წარმოშობილი ვალდებულებები
4. თითქოს ზიანის მიყენებიდან წარმოშობილი ვალდებულებები.

რომის სამართალი ვალდებულების სახეებს,გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა,ყოფდა ასევე:

- **ნატურალურ ვალდებულებებად** - ამ დროს სახეზე არ იყო სარჩელი.
- **ცივილურ ვალდებულებებად** - ვალდებულებები წარმოიშობოდა სარჩელის წარდგენის შედეგად,ანუ მთავარი იყო ფორმალური პროცესი.

18. ხელშეკრულების ცნება (ხელშეკრულების ნამდვილობის პირობები) და მისი სახეები (3 ქულა)

რომაულ სამართალში ხელშეკრულებას ეწოდებოდა - **contraqctus**. ხელშეკრულება მხარეთა შორის ისეთი შეთანხმება იყო,რომლის შეუსრულებლობა უფლებას იძლეოდა სარჩელის წარსადგენად.

ხელშეკრულების ნამდვილობისთვის აუცილებელია:

1. შეთანხმება;
2. არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სხვა სამართლის ნორმებს;
3. არ უნდა ყოფილიყო ზნეობის საწინააღმდეგო;
4. უნდა ყოფილიყო შესაძლებელი და არა ფანტაზია;
5. იძულებით დადებული არ უნდა ყოფილიყო.

I.ხელშეკრულების სახეები დადების წესის მიხედვით:

- **რეალური ხელშეკრულება** -გულისხმობს ნივთის უშუალოდ გადაცემას.
- **ლიტერატურული** - ნამდვილობისთვის მოითხოვს წერილობით გაფორმებას.
- **კონსესუალური** - საკამარისია შეთანხმება.
- **ვერბალური** - იდებოდა სიტყვიერად.

II.შინაარსის მიხედვით:

- **ცალმხრივი** - ყველა ვალდებულება ერთ მხარეს აქვს, ხოლო უფლებები - მეორეს
- **ორმხრივი**- უფლებები და ვალდებულებები ორივე მხარეს თანაბრად აქვს.

რეალური ხელშეკრულების სახეებია :

1. **სესხის ხელშეკრულება** - ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ ნივთის გადაცემის შემდეგ.ეს არის ცალმხრივი ხელშეკრულება.სესხის ხელშეკრულება შეიძლება ყოფილიყო დადებული უვადოდ ან გარკვეული ვადით.ასევე უსასყიდლოდ ან სასყიდლით 1%-8%).
2. **თხოვების ხელშეკრულება**
3. **შენახვის ხელშეკრულება**
4. **გირავნობის ხელშეკრულება**

4 ქულა

19. დანაშაულის სახეები (4 ქულა)

დანაშაულები იყოფოდ 4 აკტეგორიად:

1. **სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული(ჩადენილი) დანაშაული -** აღსანიშნავია ღალატი, შეიარაღებული აჯანყების მოწყობა,მეფის ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, ხაზინის გაქურდვა, არჩევნების გაყალბება, ყალბი ფულის დამზადება და სხვა.
2. **რელიგიის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები -** აქ აღსანიშნავია რწმენისა და ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები,საეკლესიო ქონების მოპარვა,ღვთის გმობა და სხვა.
3. **ადათ-წესების,ჩვევებისა და მორალის დასარღვევად მიმართული დანაშაულები** - აქ აღსანიშნავია ღალატი ან სხვის ცოლთან ცხოვრება,გაუთხოვარ ქალთან დაუქორწინებლად ცხოვრება, სისხლის აღრევა, მრავალქმრიანობა ან ჰომოსექსუალიზმი.
4. **კერძო პირთა წინაამდეგ მიმართული დანაშაულები -** აღსანიშნავია მკვლელობა, ცეცხლის წაკიდება,იძულება,დამონება,სხვისი მონის იძლებით მისაკუთრება, ცრუმოწმეობა,პროცენტის გადიდებული ოდენობით აღება,ქურდობა.

20. ინსტიტუციები სამართლიანობის და სამართლის დანაწესების და სახეების შესახებ (4 ქულა)

სამართლიანობა არის უცვლელი და მუდმივი ნება თითოეულისათვის თავისი უფლების მინიჭებისა.იურისპრუდენცია(სამართალმცოდნეობა) არის საღვთო და ადამიანური საქმეების შეცნობა, მეცნიერება სამართლიანობისა და უსამართლოს შესახებ.

სამართლის დანაწესებია:

1. **პატიოსნად ცხოვრება**
2. **სხვისთვის ზიანის არმიყენება**
3. **თითოეულისათვის თავისის მიზღვა**

სამართლის მეცნიერება ორ ნაწილად იყოფა:

1. **საჯარო** - რომის სახელმწიფო მდგომარეობას ეხება

2. **კერძო** - კერძო პირების ინტერესს ეხება.

კერძო სამართალი სამნაწილიანია:

1. **ბუნებითი** - სამართალი,რომელიც ბუნებამ ყველა ცხოველს ასწავლა. დამახასიათებელია არა მხოლოდ ადამიანებისათვის, არამედ ყველა ცხოველისათვის.
2. **ცივილური** - სამართალი, რომელიც ყველა ხალხმა თავად დაადგინა საკუთარ სამართლად,თავად სახელმწიფოს საკუთარი სამართალი(**ius civitas**)
3. **ხალხთა სამართალი** - სამართალი, რომელიც ბუნების გონმა ყველა ადამიანს შორის დააწესა და მას თანაბრად იცავს ყველა ხალხი(**ius gentium**)

21. მეურვეობა და მზრუნველობა (4 ქულა)

- **მეურვეობა** - არის ცივილური სამართლის მიერ მინიჭებული და დაშვებული უფლება და ხელისუფლება იმ თავისუფალი პირის დაცვისა,რომელსაც ასაკის გამო თავის დაცვა არ შეუძლია.მეურვეები არიან ის პირები,რომლებსაც ეს ძალა და ხელისუფლება გააჩნიათ.სახელწოდება მათ სწორედ საქმიანობიდან მიიღეს.მათ ეწოდებათ **„ტუტორები“** ანუ ზედამხედველები.მშობლებს ეძლევათ უფლება,რომ არასრულწლოვან ბავშვებს, რომლებიც მათ თავიანთი ხელისუფლების ქვეშ ჰყავთ,ანდერძით დაუნიშნონ მეურვეები.ეს წესი შეეხება ვაჟიშვილებსა და ქალიშვილებს.მაგრამ შვილიშვილებისათვის მშობლებს(ე.ი. პაპას) მეურვეობის ანდერძით დანიშვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ,თუკი შვილიშვილები მათი გარდაცვალების შემდეგ თავიანთი მამის ხელისუფლების ქვეშ არ ექცევიან.თუ ხელისუფლებიდან გათავისუფლებულ ვაჟიშვილს მამა ანდერძით მეურვეს დაუნიშნავს,იგი ყოველ შემთხვევაში პრეზესის გადაწყვეტილებით,ე.ი. საქმის გამოკვლევის გარეშე უნდა დამტკიცდეს.მეურვედ შეიძლება დაინიშნოს არა მარტო ოჯახის მამა,არამედ ოჯახის შვილიც.ასევე საკუთარი მონაც,მისი იმავდროულად გააზატების შემთხვევაში. მეურვის დანიშვნა შეიძლება გარკვეული დროით,რამე პირობით ან მემკვიდრის დანიშვნამდე.მაგრამ არ შეიძლება მეურვე დაინიშნოს ნივთზე ან საქმისთვის.

- **მზრუნველობა** - სრულწლოვან მამაკაცებს და სქესობრივად მომწიფებულ ქალებს,სანამ მათ 25 წელი არ შეუსრულდებათ,მზრუნველი ეძლევათ.მზრუნველები ინიშნებიან მაგისტრატების მიერ,რომლებიც მეურვეებსაც ნიშნავენ.მზრუნველი არ ინიშნება ანდერძით,მაგრამ თუ დაინიშნა მას ან პრეტორი ან პრეზესი ამტკიცებს დეკრეტით. ამასთანავე,ახალგაზრდებს,მათი სურვილის საწინააღმდეგოდ,მზრუნველი მხოლოდ სასამართლო დავებისას ენიშნებათ.ასევე შეშლილები და მფლანგველები,თუნდაც ისინი ასაკით 25 წელზე მეტის იყვნენ,თორმეტი დაფის კანონების თანახმად,მაინც აგნატების მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან.გონებასუსტებს,ყრუებს,მუნჯებსა და ქრონიკული სენით დაავადებულებსაც,იმის გამო,რომ მათ თავიანთი საქმეების წარმართვა არ შეუძლიათ,ასევე მზრუნველები ენიშნებათ.ზოგჯერ მზრუნველები ობლებსაც(არასრულწლოვნებს) ენიშნებათ.მაგალითად,თუ კანონიერი მეურვე ვარგისი არ არის.ვინაიდან,პირი,რომელსაც მეურვე ჰყავს მეორე მეურვის დანიშვნა არ შეიძლება.

23. სერვიუს ტულიუსის რეფორმები (4 ქულა)

სერვიუს ტულიუსი რომის მეექვსე რექსია.სერვიუს ტულიუსის რეფორმები მიზნად ისახავდა პატრიციებისა და პლებეების წინააღმდეგობის შერბილებას,ტულიუსმა მთელი რომის მოსახლეობა ქონებრივი ცენზის მიხედვით 6 ჯგუფად დაყო:

1. მოქალაქეები,რომელთა ქონებაც შეადგენდა 100 000 ასსს,უნდა გამოეყვანათ 80 ცენტურია,ანუ ასეული
2. 75 000 ასსი – 22 ცენტურია
3. 50 000 ასსი– 20 ცენტურია
4. 25 000 ასსი– 22 ცენტურია
5. 11 000 ასსი– 30 ცენტურია
6. აქ ირიცხებოდნენ ცხენოსნები,რომლესაც 18 ცენტურია უნდა გამოეყვანათ.

გარდა ამისა კიდევ 5 ცენტურია იყო : ორი მუსიკოსები,ორი ხელოსნები და ერთი ცენტურია უნდა გამოეყვანა იმ ხალხს,ვისაც არ ჰქონდა იმდენი ქონება,რომ მეხუთე ჯგუფში ჩარიცხულიყო.ამ ცენტურიას პროლეტარების ცენტურია ეწოდებოდა.ანუ სულ 193 ცენტურია იყო.

24. უსახელო კონტრაქტები (4 ქულა)

უსახელო ხელშეკრულება - contractus innominati (კონტრაქტუს ინნომინატი)

იუსტინიანეს მიერ შედგენილი კრებულის მიხედვით არსებობდა ოთხის სახის უსახელო ხელშეკრულება:

1. **Do ut des (დო უტ დეს):** მე გადმოგცემ შენ ნივთზე საკუთრების უფლებას იმ პირობით,რომ შენ გადმომცემ სხვა ნივთზე საკუთრების უფლებას
2. **Do ut des (დუ უი ფაციას):** მე გაძლევს შენ(გადმოგცემ) ნივთზე საკუთრების უფლებას იმ პირობით,რომ შენ შეასრულებ რაიმე მოქმედებას,გასწევ გარკვეულ მომსახურებას.
3. **Facio ut des (ფაციო უტ დეს):** მე ვასრულებ შენს სასარგებლოს გარკვეულ მოქმედებას,რათა შენ გადმომცე მე საკუთრების უფლება გარკვეულ ნივთზე
4. **Facio ut facias (ფაციო უტ ფაციას):** მე ვასრულებ შენს სასარგებლოდ რაიმე მოქმედებას იმ პირობით,რომ შენც შეასრულებ გარკვეულ მოქმედებას ჩემს სასარგებლოდ

უსახელო ხელშეკრულებებიდან უფრო ხშირად გვხვდება გაცვლის ხელშეკრულება - **permutatio (პერმუტაციო).**ამ ხელშეკრულების ძალით ერთი პირი მეორეს გადასცემდა საკუთრებაში ნივთს იმ პირობით,რომ ამ ნივთის სანაცვლოდ მიიღებდა სხვა ნივთს.გაცვლის ხელშეკრულება რეალური ხელშეკრულება იყო,რადგან ნივთი სახეზეა.

უსახელო ხელშეკრულების მეორე სახეა ე.წ. **შეფასებითი ხელშეკრულება - contractus aestimatorius (კონტრაქტუს ესტიმატორიუს).**შეფასებითი ხელშეკრულების ძალით ერთი მხარე გადასცემდა მეორეს ნივთს გასაყიდად გარკვეულ ფასად იმ პირობით,რომ მეორე მხარეს საქონლის გაყიდვის შემთხვევაში გადაეცა პირველი მხარისათვის ფული იმ ოდენობით,როგორც იყო შეფასებული ეს ნივთი ან დაებრუნებინა გაუყიდავი ნივთი.

ნივთის უფრო მაღალ ფასში გაყიდვის შემთხვევაში მოგება რჩებოდა გამყიდველს,მასზე პატრონს არ ჰქონდა პრეტენზიის უფლება.

25. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის პრეტორული საშუალებები (4 ქულა)

პრეტორი გამოსცემდა სავალდებულო ედიქტებს,რაც უზრუნველყოფდა ვალდებულების შესრულებას.მათგან აღსანიშნავია:

- **Stipulations pretoriae(სტიპულაციონეს პრეტორიე)** - ამ სტიპულაციის ძალით პრეტორი აიძულებდა მხარეებს დაედოთ ერთმანეთთან სიტყვიერი ხელშეკრულება,მოელაპარაკათ,რომ წინასწარ შეეტანათ საწინდარი,რაც ვალდებულების შესრულების გარანტია ხდებოდა.
- **Mission in possessionem(in bona)(მისსიო ინ პოსსესიონემ)** - პრეტორი ნებას რთავდა კრედიტორს, მოსარჩელეს, წინასწარ დაუფლებოდა იმ მოვალის ქონებას,რომელსაც არ სურდა სასამართლოში მისვლა ან არ ასრულებდა სასამართლოს გადაწყვეტილებას.
- **Restitution in integrum (რესტიტუციო ინ ინტეგრუმ)** - პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა. პრეტორი ზოგჯერ პირადად გამოიკვლევდა საქმეს და თუ დარწმუნდებოდა,რომ მხარეს მოუვიდა ზარალი,აუქმებდა ყოველგვარ აქტებს და აღადგენდა პირვანდელ მდგომარეობას.
- **Interdicta(ინტერდიქტა)** - იყო პრეტორის ბრძანება ამა თუ იმ მოქმედების შესასრულებლად ან მოქმედებისგან თავის შესაკავებლად.მაგალითად,თუ ვინმე ააგებდა შენობას სხვის მიწაზე აკრძალვის მიუხედავად,პრეტორი გასცემდა ბრძანებას შენობის დასანგრევად.

26. ვერბალური და ლიტერალური ხელშეკრულებები (4 ქულა)

ვერბალური ხელშეკრულება(Verbum - სიტყვა) - ისეთი ხელშეკრულებაა,რომელიც სიტყვიერად იდებოდა და საჭირო არ იყო მისი წერილობითი გაფორმება,მაგრამ საჭირო იყო განსაზღვრული სიტყვების წარმოთქმა.

ლიტერალური ხელშეკრულება - ნამდვილობისთვის მოითხოვდა დოკუმენტის შედგენას,ანუ წერილობით გაფორმებას.არსებობდა ორი სახის ლიტერალური ხელშეკრულება:

1. **ხიროგრაფები** - პირველი პირისგან დაწერილი ხელშეკრულება;
2. **სინოგრაფები** - მესამე პირისგან დაწერილი ხელშეკრულება.

27. თორმეტი დაფის კანონი და მისი შემადგენლობა (4 ქულა)

12 ტაბულის კანონი შედგენილია **ძვ.წ. 450 წ.** დეცემვიორთა,ანუ 10-კაციანი კომისიის მიერ.რომაელი იურისტის **პომპინიუსის**(ძვ.წ. II ს.) გადმოცემით,რომიდან 10-კაციანი კომისია გაიგზავნა ათენში,რათა

სოლონის კანონმდებლობა შეესწავლა.კომისია რომში დაბრუნდა 10 ტაბულით.კანონთა ტექსტის გაცნობისას აღმოჩნდა,რომ კანონები სრულყოფილი არ იყო.ამისათვის ამავე კომისიამ დაამატა კიდევ 2 დაფა.

12 ტაბულის კანონების ძირითად წყაროს წარმოადგენდა ადათობრივი სამართალი.მათ არ შეიძლება ვუწოდოთ კოდექსი,რადგან იგი არ არის მკაცრად სისტემატიზებული ნორმების ერთობლიობა.იგი ძირითადად სამოქალაქო სამართლის საკითხებს ეხება.მისი სისტემა დაახლოებით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

- **I-III** ტაბულებში მოცემულია სამოქალაქო პროცესის საკითხები;
- **IV-V** ტაბულები ეძღვნება საოჯახო და სამემკვიდრეო სამართლის საკითხებს;
- **VI-VII** ტაბულებში მოცემულია სანივთო და ვალდებულებითი სამართლის საკითხები;
- **VIII-IX** ტაბულებში მოცემულია სისხლის სამართლის საკითხები;
- **X** ტაბულა ეხება საკრალური(საეკლესიო) სამართლის საკითხებს;
- **XI-XII** ტაბულები შეიცავს დამატებულ მუხლებს წინა 10 ტაბულის ხარვეზების შესავსებად.

12 დაფის კანონებმა უდიდესი როლი შეასრულეს რომის სამართლის შემდგომ განვითარებაში.ამ კანონებიდან მრავალი მუხლი შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაში შევიდა.

28. კვაზი დელიქტები (4 ქულა)

კვაზი - დელიქტები იგივე ფსევდოდელიქტები ეწოდებოდა შემთხვევებს, როდესაც პასუხისმგებლობა დგებოდა განზრახვის გარეშე ქმედებისათვის.

კვაზი-დელიქტები უახლოვდებოდა ნამდვილს დელიქტებს იმაში,რომ ზიანი სახეზეა,მაგრამ ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი მათ შორის ის არის,რომ ნამდვილი დელიქტის დროს სახეზეა ზიანის მიმყენებლის განზრახვა,ფსევდო-დელიქტის დროს კი - დაუდევრობა.სწორედ ამიტომ არ შეიდოდა კვაზი-დელიქტები ნამდვილ დელიქტთა რიცხვში,თუმცა პასუხისმგებლობა მაინც დგებოდა.

კვაზი-დელიქტების ერთ-ერთი სახე იყო,როცა **მოსამართლე არასწორ განაჩენს გამოიტანდა**.ამ დროს დაზარალებულს შეჰქონდა სარჩელი და იღებდა ზიანის სრულ ანაზღაურებას.

მეორე სახე იყო **გადაყრა და გადაღვრა**,თუ ეს ქმედება ვინმეს ზიანს მიაყენებდა დგებოდა პასუხისმგებლობის საკითხი.თუ ადამიანი მოკვდებოდა წესდებოდა ჯარიმა,თუ დაშავდებოდა ჯარიმა და მკურნალობის ხარჯებიც უნდა აენაზღაურებინა.

შემდეგი სახე იყო **ნივთების არასწორად დადგმა-ჩამოკიდება**.მაგალითად,ღარიბთა უბნებში ხშირად იყო ხოლმე გარეთ ჩამოკიდებული გასაშრობად ან ადგილის სიმცირის გამო ნივთები,რომელიმე მდიდარ რომაელს კი შეეძლო ეჩივლა,იმ შემთხვევაშიც თუ ზიანი არ მიადგებოდა.

არსებობდა **გემის,სასტუმროსა და ბანკების მეპატრონეთა პასუხისმგებლობის საკითხი**,მიუხედავად იმისა,რომ მათ არ უნდოდათ,რომ მათ მომხმარებელს რაიმე დაეკარგათ,პასუხისმგებლობა მაინც მათ ეკისრებოდათ.

5 ქულა

29. საკუთრების უფლება და საკუთრების სახეები (5 ქულა)

კერძო საკუთრების უფლება პირველად რომის სამართალმა დააამუშავა.ინდივიდუალურ ანუ კერძო საკუთრებას წინ უძღოდა საერთო ანუ საზოგადო საკუთრება.მაგალითად,გვარის საკუთრება,ოჯახის საკუთრება და სხვა.კერძო საკუთრება საკუთრების უფრო გვიანდელი ფორმაა.

ძელ რომში საკუთრება გააჩნდათ მხოლოდ ძირძველ რომაელებს.საკუთრების აღმნიშვნელი ტერმინი იყო **dominium**.ძირძველ რომაელებს კვირიტები ეწოდებოდათ,ამიტომ მათ საკუთრებას ეწოდებოდა **dominium quiritium**.კვირიტული საკუთრება არ გააჩნდათ არარომაელებს,ანუ პერეგრინებს.კვირიტული საკუთრების ობიექტი იყო ყოველი მოძრავი ნივთი,ხოლო მიწებიდან - მხოლოდ იტალიაში არსებული ნაკვეთები.საკუთრება ნიშნავდა ნივთზე სრულ ძალაუფლებას.

კვირიტული საკუთრების გვერდით აღსანიშნავია სხვა განსაკუთრებული საკუთრების სახეები:

- **პრეტორული ანუ "ბონიტარული" საკუთრება** - ეს იყო საკუთრების სახე, რომელიც პრეტორის ბრძანებით იცავდა საკუთრების შემძენს სხვისი ხელყოფისაგან სარჩელის წაყენებითა თუ გაფრთხილების გზით.
- **პროვინციული საკუთრება** - ეს იყო რომაელთა მიერ დაპყრობილი მიწები,რომლებიც რომის სახელმწიფოს საკუთრებად იყო მიჩნეული.ამ მიწებიდან რომაელები სარგებელს სხვადასხვა გზით იღებდნენ.ისინი განიხილებოდნენ პირებად,რომელთაც მხოლოდ მფლობელობა ჰქონდათ,მაგრამ არსებითად მათი უფლება საკუთრების უფლებას უდრიდა.

- **პერეგრინების საკუთრება** - პერეგრინებს არ ჰქონდათ ძირძველი რომაელების თანაბარი საკუთრება,მაგრამ კომერციის განვითარების შემდეგ აუცილებელი გახდა მათი საკუთრების ცალკე სახედ აღიარება და დაცვა.

30.სასარჩელო ფორმულის ნაწილები (5 ქულა)

- **iuditio nominatio** - მოსამართლის დასახელება,რომელსაც საქმე უნდა განეხილა;
- **intentio** - მოსარჩელის პრეტენზიები;
- **adiudicatio** - მოსამართლისათვის უფლების მინიჭება, მიაკუთვნოს მოსარჩელეს საკუთრების უფლება;
- **condemnatio** - მოსამართლისთვის მითითება,მსჯავრი დაადოს მოპასუხეს ან გაათავისუფლოს იგი პასუხისმგებლობისაგან(იგულისხმება ქონებრივი პასუხისმგებლობა);
- **rescriptio** - მითითება იმ განსაკუთრებულ გარემოებებზე,რაც მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს საქმის დასაწყისშივე;
- **exceptio** - მოპასუხის შესიტყვებათა გადმოცემა,ანუ ახალი ფაქტებისა თუ ახალი საბუთების შემოწმების აუცილებლობა,რომელთა აღმოჩენა და დადასტურება საქმეს სხვანაირად წარმართავდა.

31.უფლება სხვის ნივთზე (სერვიტუტი,უზუფრუქტი,ემფითევზისი) (5 ქულა)

სერვიტუტი სხვისი ნივთით სარგებლობის უფლების ძირითად სახეს წარმოადგენდა. იგი ორ კატეგორიად იყოფოდა:

- **ნივთობრივი, ანუ საადგილმამულო სერვიტუტები (servitutes praediales)** - საადგილმამულო სერვიტუტის ძალით, არამესაკუთრეს უფლება ეძლეოდა ესარგებლა სხვისი მიწით.მაგალითად, ევლო ფეხით,თუ ცხენით მეზობლის ნაკვეთზე,ესარგებლა მეზობლის ჭით და ა.შ.(**სასოფლო სერვიტუტი**).რომის სამართალი იცნობდა ასევე **სამოქალაქო სერვიტუტსაც**,რაც გულისხმობდა ქალაქში მეზობლის მიწითა თუ ნაკვეთით სარგებლობას.მაგალითად, მეზობელს შეეძლო ესარგებლა მეზობლის კედლით,გაეყვანა მეზობლის ტერიტორიაზე წვიმის წყლისათვის არხი და ა.შ.
- **პირადი სერვიტუტის** უფლების ძალით კერძო პირის სასარგებლოდ ხდებოდა სხვისი ნივთიდან სარგებლობის მიღება.პირადი სერვიტუტის სახე იყო **უზუფრუქტი.**
- **უზუფრუქტი** არის სხვისი ნივთით სარგებლობისა და მისგან შემოსავლის,ნაყოფის მიღების უფლება ამ ნივთის არსის შეუცვლელად,მის დაუზიანებლად.

სერვიტუტის უფლება დამოკიდებული იყო ნივთის მესაკუთრის ნება-სურვილზე. მესაკუთრე სერვიტუტს გადასცემდა სხვა პირს ან ანდერძით ან კიდევ ხელშეკრულებით.სერვიტუტი აგრეთვე შეიძლება წარმოშობილიყო,როგორც სასამართლო გადაწყვეტილებით,ასევე ხანდაზმულობით.**სერვიტუტის უფლება წყდებოდა ნივთის მოსპობით,**ასევე სერვიტუტის სუბიექტის სიკვდილითაც,ან მესაკუთრის მიერ სერვიტუტზე უარის თქმით.

გარდა სერვიტუტისა, სხვის ნივთზე უფლებას მიეკუთვნებოდა სხვისი მიწის გრძელვადიანი სარგებლობის მემკვიდრეობითი გადასაცემი, გასასხვისებელი სანივთო უფლებები:

- **ემფითევზისი** - სასოფლო-სამეურნეო მიწაზე მისი დამუშავების მიზნით;
- **სუპერფიციუმი** - საქალაქო მიწაზე,მასზე ნაგებობის აგების მიზნით.

6 ქულა

32.ფსევდო ხელშეკრულებები (6 ქულა)

რომაული სამართლის მიხედვით,ვალდებულება წარმოიშობოდა ან ხელშეკრულებიდან ან ზიანიდან,თუმცა იყო შემთხვევა,როცა ვალდებულება ორივეს გარეშე წარმოიშობოდა.მაგალითად,თუ პირი გარდაიცვლებოდა და მისი შვილები ადგილზე არ იყვნენ,მას დაკრძალავდა მეზობელი,რომელიც ხარჯების ანაზღაურებას მისი მემკვიდრეებისგან მოითხოვდა.რომაელი იურისტები ასეთ შემთხვევას უწოდებდნენ

ვითომ ხელშეკრულებას ანუ ფსევდო-ხელშეკრულებას.მიუხედავად იმისა, რომ სახეზე არ იყო ხელშეკრულება,სადავო საკითხი ისე უნდა გადაწყვეტილიყო,როგორც ხელშეკრულების საფუძველზე წამოჭრილი გზა.

ფსევდოხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულების სახეებია:

- **negatiorum gestio - სხვისი საქმის წარმოება დაუვალებლად.**
- **უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ვალდებულებები.**

negatiorum gestio მხარეთა შორის ისეთი ურთიერთობა იყო,როცა ერთი მხარე - **negatiorum gestor**,უვლიდა მეორე პირის ქონებას,მაგრამ მას დავალება მეორე პირისგან ანუ **dominus**-ისგან არ მიუღია.თავის მხრივ ეს მეორე მხარე ვალდებული იყო აენაზღაურებინა ზარალი.ამ ურთიერთობაში მთავარი ისაა,რომ ადგილი არ აქვს დავალების მიცემას ან სასყიდელს.თუ საქმის მეპატრონეს მოეწონება მეორე პირის მიერ შესრულებული საქმე,უნდა აენაზღაურებინა,მაგრამ თუ არ მოეწონებოდა მას შეეძლო მოეთხოვა პირვანდელინ მდგომარეობის აღდგენა,მაგრამ ამის საფუძველი უნდა ჰქონოდა.

რომაული სამართალი იცნობდა უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილ ვალდებულებებსაც, მაგალითად თუ დავალებული პირი კრედიტორის ნაცვლად სხვას გადაუხდიდა,დგებოდა ვალის უკან დაბრუნების საკითხი,რადგან არ იყო არც ვალი და არც ხელშეკრულება.

მეორე სახე იყო საქმროს საჩუქარი,მზითევი,თუ ამის შემდეგ ქორწინება გაუქმდებოდა,დგებოდა კომდიქციური სარჩელის საკითხი.

მესამე შემთხვევა იყო ქურდობა,ამ შემთხვევაში ვალდებულება ნივთის უკან გამოსათხოვად ეფუძნებოდა მიმთვისებლის უპატიოსნობას,თუ მოპარული ნივთი გასხვისებული აღმოჩნდებოდა,უნდა გადაეხადა ნივთის უმაღლესი ღირებულება და უნდა ენაზღაურებინა ამ ნივთის არ ქონით მიყენებული ზარალი.

33. ინსტიტუციები ნივთების კლასიფიკაციის შესახებ (6 ქულა)

ზოგი ნივთი ბუნებითი სამართლით ყველასათვის საერთოა,ზოგი - საჯაროა,ზოგი კორპორაციას (**universitas**) ეკუთვნის,ზოგიც არავისი არ არის,ხოლო უმრავლესობა ცალკეულ პირებს მიეკუთვნება, რომლებიც მათ სხვადასხვა გზით იძენენ.

საერო და საღვთო,რელიგიური,წმინდა ნივთები.

- საერო ნივთებად შეგვიძლია მივიჩნიოთ თეატრები,სტადიონები,ანუ ისეთი ნივთები,რომლებიც რომის მოქალაქეებს ეკუთვნოდათ.
- საღმრთოა(საკრალურია) ის ნივთები,რომლებიც სათანადო რიტუალითა და უმაღლესი საეკლესიო პირების მეშვეობით ღვთისთვის არის მიძღვნილი,მაგალითად,ტაძრები და საჩუქრები,რომლებიც სათანადო რიტუალით ღვთისმსახურებისთვის არის მიძღვნილი და მათი გასხვისება აკრძალულია გარდა იმ შემთხვევისა,როცა ტყვეების გამოსყიდვა იყო საჭირო.
- წმინდა ნივთებიც,მაგალითად ქალაქის გალავანი და კარები გარკვეულწილად საღმრთო სამართალს მიეკუთვნებიან და ამიტომ არავის ქონებას შეადგენენ.**გალავანი** წმინდად იმიტომ იყო მიჩნეული,რომ ვინც მას დააზიანებდა სიკვდილით სჯიდნენ.

ამიტომ სანქცია(**sanction**) ეწოდებოდა კანონების იმ ნაწილს,რომელშიც ამ კანონის დამრღვევთათვის განსაზღვრული იყო სასჯელი.

- **საერთო,ანუ ყველასთვის კუთვნილი ნივთები** - ბუნებითი სამართლით,ასეთ ნივთებად შეიძლება ჩაითვალოს:ჰაერი,გამდინარე წყალი,ზღვა და ამის გამო ზღვის ნაპირიც.
- **არავის კუთვნილი ნივთები,**მაგალითად გადაგდებული,ან უპატრონოდ მიტოვებული ნივთები.

სახელმწიფოს კუთვნილი,მაგალითად,ციხესიმაგრები,საპყრობილეები,გზები და **კორპორაციული ნივთები** (**universitas**),რომლებიც ეკუთვნოდა არა ცალკეულ პირს,არამედ პირთა გაერთიანებას.აქვე უნდა აღინიშნოს **კერძო** ნივთებიც,რომლებიც ეკუთვნოდა კერძო პირს,მაგალითად კონკრეტული პირის საკუთრებაში მყოფი ცხენი.

34. ნივთების კლასიფიკაცია (6 ქულა)

რომაული სამართლის მიხედვით,ნივთებს ეწოდებოდა Res.ძველ რომში ნივთების კლასიფიკაციას ახდენდნენ შემდეგნაირად:

- **res mancipi -** მიწები, ამ მიწებზე დასახლებული მონები,მიწის დასამუშავებლად განკუთვნილი პირუტყვი,შენობები.
- **res nec mancipi** - საოჯახო ნივთები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, წვრილფეხა პირუტყვი, ფული და ა.შ. ნივთების ეს უკანასკნელი კატეგორია განიხილებოდა როგორც **pecunia**,ანუ ქონება.

ნივთების ამ ორ სახეობად დაყოფა გასხვისების წესში მდგომარეობდა. თუ **res mancipi** მოითხოვდა ქონების გასხვისების განსაკუთრებულ წესს, **res nec mancipi** შეიძლებოდა უბრალო გადაცემის გზით განხორციელებულიყო.

მოძრავი (res mobile) და უძრავი (res immobile) ნივთები.

- **მოძრავი -** გადაადგილება შეიძლება პირვანდელი სახის დაუზიანებლად (მაგ.: ხარი);
- **უძრავი** - გადაადგილება შეუძლებელია პირვანდელი სახის დაუზიანებლად (მაგ.: მიწა).

ნივთები, რომლებიც **ამოღებულია სამოქალაქო ბრუნვიდან,** მაგალითად საწამლავი **(res extra commercium)** და ნივთები, რომლებიც **არ არის ამოღებული სამოქალაქო ბრუნვიდან,** ანუ კომერციიდან **(res in commercium),** მაგალითად, ურემი.

სხეულებრივ (res corporals) და უსხეულო (res incorporales) ნივთები.

- **სხეულებრივია** - რისი ფიზიკური შეხებაც შეიძლება ანუ ისეთი ნივთები, რომლებსაც თავიანთი ბუნებრივი თვისებების გამო შეიძლება შეეხო. მაგალითად, ოქრო, ტანსაცმელი, ადამიანი (მონა) და ა.შ.
- **უსხეულოა** - ის ნივთები, რომელთა შეხებაც შეუძლებელია. ასეთ ნივთებად მიჩნეულია **უფლებები**, მაგალითად მემკვიდრეობა, უზურფრუქტი, სერვიტუტები და ა.შ.

მარტივი,რთული და ერთობლივი ნივთები.

- **მარტივი** - რომლებიც არ შედგებოდა სხვადასხვა შემადგენელი ნაწილისაგან (მაგ.: ქვა);
- **რთული -** შედგებოდა სხვადასხვა ნაწილისაგან (მაგ.: შენობა);
- **ერთობლივი** - შედგებოდა სხადასხვა ნივთისგან, მაგრამ არა როგორც ერთი ნივთი, არამედ როგორც ნივთთა ერთობლიობა (მაგ.: ჯოგი)

საერო და საღვთო, რელიგიური, წმინდა ნივთები.

- საერო ნივთებად შეგვიძლია მივიჩნიოთ:თეატრები, სტადიონები, ანუ ისეთი ნივთები, რომლებიც რომის მოქალაქეებს ეკუთვნოდათ.
- საღმრთოა (საკრალურია) ის ნივთები, რომლებიც სათანადო რიტუალითა და უმაღლესი საეკლესიო პირების მეშვეობით ღვთისთვის არის მიძღვნილი, მაგალითად, ტაძრები და საჩუქრები, რომლებიც სათანადო რიტუალით ღვთისმსახურებისთვის არის მიძღვნილი და მათი გასხვისება აკრძალულია გარდა იმ შემთხვევისა, როცა ტყვეების გამოსყიდვა იყო საჭირო.
- წმინდა ნივთებიც, მაგალითად ქალაქის გალავანი და კარები გარკვეულწილად საღმრთო სამართალს მიეკუთვნებიან და ამიტომ არავის ქონებას შეადგენენ. **გალავანი** წმინდად იმიტომ იყო მიჩნეული, რომ ვინც მას დააზიანებდა სიკვდილით სჯიდნენ. ამიტომ სანქცია **(sanction)** ეწოდებოდა კანონების იმ ნაწილს, რომელშიც ამ კანონის დამრღვევთათვის განსაზღვრული იყო სასჯელი.

❖ **საერთო, ანუ ყველასთვის კუთვნილი ნივთები,** ბუნებითი სამართლით, ასეთ ნივთებად შეიძლება ჩაითვალოს: ჰაერი, გამდინარე წყალი, ზღვა და ამის გამო ზღვის ნაპირიც და

❖ **არავის კუთვნილი ნივთები,** მაგალითად გადაგდებული, ან უპატრონოდ მიტოვებული ნივთები.

- **სახელმწიფოს კუთვნილი,** მაგალითად, ციხესიმაგრები, საპყრობილეები, გზები და **კორპორაციული ნივთები,** რომლებიც ეკუთვნოდა არა ცალკეულ პირს, არამედ პირთა გაერთიანებას. აქვე უნდა აღინიშნოს **კერძო** ნივთებიც, რომლებიც ეკუთვნოდა კერძო პირს, მაგალითად კონკრეტული პირის საკუთრებაში მყოფი ცხენი.

35. პაქტები (6 ქულა)

1. **paqta adieqta** - ხელშეკრულების შემავსებელი შეთანხმება ანუ ისეთი პაქტები,რომლებიც ავსებდნენ სხვა ძირითად ხელშეკრულებას და მიზნად ისახავდა შეეტანა ცვლილება მთავარი ხელშეკრულების იურიდიულ შედეგებში,კერძოდ დაეკისრებინა რომელიმე მხარისთვის ვალდებულება.ოღონდ იმ პირობით თუ არ დაამძიმებდა მდგომარეობას.
2. **Paqta praeotoria** - შეთანხმება რომელსაც დაიცავდა პრეტორის ედიქტი,პრეტორის მითითებით.ასეთი პაქტები იყო :
    - **receprum** - ვალდებულების შესრულების თავის თავზე აღება;
    - **receprum nautarum cauponum stabulariorum** - გემისა თუ სხვა ადგილის მეპატრონესთან დადებული ხეთანხმება,რომ მისი ქონება იქნება დაცული.
3. **paqta legitima** - ლეგიტიმური პაქტები იმპერატორის განკარგულებით იყო დაცული.ესენია :
    - **compromisus** - რომლის ძალითაც მოდავე მხარეთა საქმე გადაეცემოდა სამედიატორო სასამართლოს;
    - **paqtum dotis** - სიტყვიერი შეტანხმება,დაპირება საჩუქრის გადაცემის შესახებ;
    - **paqtum domitianis** - იგივე ,რაც პაქტუმ დოტის,ოღონდ ნიშნავდა სხვა სახის საჩუქრის გადაცემის პირობასაც.

36. რექსების ხანის სახელმწიფო წყობილება (კურიის სახალხო კრება,სენატი,რექსი) (6 ქულა)

რექსების ანუ მეფეთა ხანა მოიცავს ჩვ.წ. აღ.-მდე VIII-VI სს. რექსების ხანაში რომში საზოგადოებას მართავდა შემდეგი ორგანოები:

- მთელი რომაელი ხალხი დაყოფილი იყო **300 გვარად ანუ 30 კურიად ანუ 3 ტრიბად**. ერთ კურიაში 10 გვარი შედიოდა, ხოლო ერთ ტრიბაში 100 გვარი, ანუ 10 კურია. ყოველივე ეს ანუ 300 გვარი ანუ 30 კურია ანუ 3 ტრიბა წარმოადგენდა მთელ რომაელ ხალხს ანუ პოპულუსს.
- **კურიის კრება (comitia curiata)** - წარმოადგენდა სახალხო კრების უძველეს სახეს რომში. რადგან არსებობდა 30 კურია, შესაბამისად მოიწვეოდა 30 სახალხო კრება. თითოეულ კურიას თითო ხმა ჰქონდა. საკითხი მიებულად ითვლებოდა, თუ მას ხმას მისცემდა 16 წევრი.კურიის კრება წარმოადგენდა საზოგადოებრივი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს რექსების ხანაში. იგი იხილავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ომისა და ზავის, ტომის ბელადის ანუ რექსის არჩევის სიკვდილმისჯილის განაჩენის გადასინჯვის, შვილად აყვანის, ანდერძით მემკვიდრეობისა და სხვა საკითხებს.
- **სენატი (senatus)** - წარმოადგენდა უხუცესთა საბჭოს. სენატი იხილავდა ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს როგორიცაა: დასკვნების მიცემა სახალხო კრებებზე განსახილველ სახითხებზე, დადგენილების დამტკიცება ან გაუქმება, დადგენილების შესრულებაზე ზედამხედველობა, სახალხო კრების მიერ არჩეული რექსის დამტკიცება, საგარეო ურთიერთობის საკითხები.სენატს უფლება ჰქონდა განეხორციელებინა რექსის ხელისუფლება უმეფობის პერიოდში, ანუ ახალი რექსის არჩევამდე.
- **რექსი** - იგივე ტომის ბელადია,რომლის უფლებამოსილებით მოგვაგონებს ბერძნულ „ბასილევსს“.უკანასკნელ ლიტერატურაში რექსი და მეფე იდენტურ ცნებებადაა მიჩნეული. იგია მთავარსარდალი,მსაჯული და ქურუმი.რექსის ხელისუფლება ადათით იყო რეგლამენტირებული.მისი ძალაუფლება იზღუდებოდა სახალხო კრებისა და სენატის მიერ.მას ხალხი ირჩევდა და მისი გადაყენების უფლება სახალხო კრებას ან სენატს.

10 ქულა

37. ანდერძით და კანონით მემკვიდრეობა (10 ქულა)

მემკვიდრეობა ნიშნავს გარდაცვლილი პირის ქონების გადაცემას სხვა პირზე. მემკვიდრეობის უფლება ორი სახისაა:

1. **ანდერძით მემკვიდრეობა**
2. **კანონით მემკვიდრეობა**

თუ სახეზეა ანდერძი მაშინ ქონება გადაეცემა მემკვიდრეს ანდერძის შინაარსის მიხედვით. კანონით მემკვიდრეობის საკითხი კი მაშინ დგება როდესაც არ არსებობს ანდერძი ან ანდერძი მიჩნეულია ყალბად, ანდა მემკვიდრემ უარი თქვა ანდერძზე.

რომის სამართალი იცნობდა **უნივერსალურ** და **სინგულარულ** მემკვიდრეობას.**უნივერსალური** იყო ისეთი მემკვიდრეობა, როდესაც მემკვიდრეზე გადადიოდა სამკვიდროს დამტოვებლის უფლებებიც და დაკისრებული მოვალეობებიც.

სინგულარული მემკვიდრეობის ძალით მემკვიდრეზე გადადიოდა ცალკეული უფლებები. ასეთი იყო **ლეგატები. Legatum** ეწოდებოდა მოანდერძის მიერ გაცემულ განკარგულებას მისი სიკვდილის შემდეგ გადაეცათ მისი ქონება ან ქონების ნაწილი ამა თუ იმ პირისათვისან შეესრულებინა მემკვიდრეს რაიმე მოქმედება ლეგატორის სასარგებლოდ.

ლეგატთან ახლოს იდგა ე.წ. **ფიდეიკომისები.** ეს იყო სამემკვიდრო ქონების დამტოვებლის თხოვნა მემკვიდრეობის მიმღებს შეესრულებინა რაიმე მოქმედება გადაეცა ქონების ნაწილი ამა თუ იმ პირისათვის. ანდერძით მემკვიდრეობისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა იყო ანდერძში მემკვიდრის დასახელება. მაგრამ მარტო მემკვიდრის დასახელება არ იყო საკმარისი ანდერძის ნამდვილობისათვის, შეიძლებოდა ანდერძში ყოფილიყო ლეგატები ან მცირეწლოვანი შვილებისათვის მზრუნველის დანიშვნა.

ანდერძის ნამდვილობისთვის აუცილებელი იყო ანდერძის დამტოვებლის ნორმალურ მდგომარეობაშ ყოფნა. სულით ავადმყოფების, გამფლანგველების, ზოგიერთი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირების ანდერძი არ ითვლებოდა ნამდვილად.

ანდერძის ფორმა იყო როგორც სიტყვიერი,ისე წერილობითი. ანდერძი უნდა დაემოწმებინა 7 მოწმეს. განსაკუთრებული წესები იყო ჯარისკაცთა ანდერძისათვის. მათ შეეძლოთ ანდერძი დაეტოვებინათ ყოველგვარი ფორმით. მემკვიდრეს უშუალოდ ქონების დამტოვებელი ნიშნავდა. მემკვიდრედ ისეთი პირი შეიძლებოდა დანიშნულიყო,რომელიც უკვე დაიბადა ან ჩაისახა სამკვიდროს დამტოვებლის სიცოცხლეში. მემკვიდრედ არ შეიძლებოდა დანიშნულიყო სახელმწიფო დამნაშავე ან მისი შვილები.

რომის სამართალი იცნობდა მემკვიდრეობაში სავალდებულო წილს. ამას ადგილი ჰქონდა მაშინ როდესაც მოანდერძე თავის ქონებას სურვილის მიხედვით უტოვებდა არაკანონიერ მემკვიდრეებს არამედ გარეშე პირებს.

ცივილური სამართლის უახლოეს ნათესავებად ითვლებოდნენ აგნატები (სისხლის ნათესავები). პრეტორმა სვალდებულო წილის უფლება ემანსიპირებულ შვილებსაც მიანიჭა. კლასიკურ ეპოქაში უახლოეს ნათესავთა წრეში ასევე შედიოდნენ აღმავალი და დაღმავალი ხაზის ნათესავები, ასევე მოანდერძის ღვიძლი დები და ძმები. ეს უკანასკნელნი სავალდებულო წილს მხოლოდ მაშინ იღებდნენ, თუ ანდერძში მემკვიდრედ დანიშნული იყო სახელგატეხილი პირი (**persona turpis**).

კანონით მემკვიდრეობის საკითხი დგებოდა მაშინ,თუ გარდაიცვლებოდა სამკვიდროს დამტოვებელი და ანდერძით ქონებას არავის დაუტოვებდა.პრეტორმა კანონით მემკვიდრეთა შემდეგი კატეგორიები დაადგინა:

- **შვილები - liberi**. მემკვიდრეობა თანაბრად იყოფოდა შვილებს შორის. თუ შვილიც გარდაცვლილი იყო მის ადგილს შვილიშვილი იჭერდა;
- გარდაცვლილის სისხლით ნათესავები გვარის წევრები;
- გარდაცვლილის სხვა პირდაპირი და გვერდითი ხაზის ნათესავები, მე-6 თაობის ჩათვლით (**cognati**);
- ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს სამკვიდრო ეძლეოდა თუ სახეზე არ იყვნენ წინა სამი რანგის

მემკვიდრეები.

- ბეითალმანი ანუ უპატრონო ქონება სახელმწიფოს ხელში გადადიოდა.

იუსტინიანეს ნოველებით მე-4 ს-ში განისაზღვრა კანონით მემკვიდრეთა შემდეგი თანმიმდევრობა:

- ქონების დამტოვებლის მშობლები ბებიები, ბაბუები ანუ დაღმავალი ხაზის სისხლით ნათესავები;
- შვილები და შვილიშვილები ანუ აღმავალი ხაზის სისხლით ნათესავები, დები-ძმები, არაღვიძლი და-ძმა, მათი შვილები;
- **კოგნატები** - ნებისმიერი რანგის ნათესავები;
- ცოცხლად დარჩენილი მეუღლე. მას უფლება ჰქონდა მიეღო დარჩენილი ქონების 1/4, თუ ღარიბი იყო.

38. დელიქტური ვალდებულებები და დელიქტების სახეები (10 ქულა)

ტერმინი **delictum** რომის სამართალში ნიშნავდა სამართალდარღვევას - ზიანის მიყენებას კერძო პირის ან მისი ოჯახის ანდა მისი ქონებისადმი, რის შედეგადაც სამართალდამრღვევის მიმართ დგებოდა პასუხისმგებლობის საკითხი.

რომის სამართალი კლასიკური პერიოდიდან იცნობდა ორი სახის დელიქტებს:

1. **delicta publica** - ანუ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სამართალდარღვევები ანუ დანაშაული;
2. **delicta privata** - კერძო პირთა ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სამართალდარღვევევა

სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დელიქტებსა და კერძო პირთა წინააღმდეგ მიმართულ დელიქტებს შორის არ იყო მკვეთრად გავლებული ზღვარი.ეს გამოწვეული იყო სახელმწიფოს გაძლიერებით.პრეტორს შეჰქონდა მთელი რიგი შემთხვევები, რისთვისაც სახელმწიფოს პასუხისმგებლობა წესდებოდა.

კერძო პირის წინააღმდეგ მიმართული დელიქტისათვის სახეზე უნდა ყოფილიყო შემდეგი ელემენტები:

1. მიყენებული ზიანი, რომელიც ობიექტურად სახეზე იყო ზიანის მიმყენებლის რა მართლზომიერი მოქმედებით მეორე პირის საზიანოდ
2. ზიანის მიმყენებლის ბრალი (განზრახვით ან გაუფრთხილებლობით).
3. ასევე არსებობდა დელიქტების ცალკეული სახეები:
4. **Iniuria** - მოიცავდა ყოველგვარ სამართალდარღვევას, რის შედეგადაც ზიანი მიადგა კერძო პირს, რომაელ მოქალაქეს.
5. **Firtum** - გულისხმობდა ანგარებით, წინასწარი განზრახვით, სხვისი ქონების განკარგვასა თუ სარგებლობას, ქურდობას, მითვისებას, გაფლანგვას და ნაწილობრივ, თაღლითობას.
6. **Rapina** - ძარცვა ანუ სხვისი ქონების ნაზრახ,ძალით გამოყენებით სამართალდარღვევა.

რომის სამართალი უძველესი პერიოდიდან იცნობდა **Damnum Iniuria Datum** ანუ სხვისი ნივთებისა და ქონების დაზიანებას (მაგალითად სხვისი მონის ან ცხოველის მოკვლა).

დელიქტური ვალდებულების ერთ-ერთი სახე იყო ვალდებულებანი გამომდინარე მუქარიდან და ძალადობიდან. ასეთი ვალდებულებები კანონსაწინააღმდეგო და არამართლზომიერი იყო. პრეტორის ედიქტი სარჩელით იცავდა დაზარალებულს.

დელიქტური ვალდებულების წარმოშობის სახედ რომის სამართალში ცნობილი იყო ასევე მოტყუებით წარმოშობილი ვალდებულებანი - **dolus malus. dolus** გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა მეორე მხარე განზრახ შეიყვანა შეცდომაში და ზარალი(ზიანი) მიაყენა მას.

კვაზი-დელიქტები იგივე ფსევდოდელიქტები ეწოდებოდა შემთხვევებს, როდესაც პასუხისმგებლობა დგებოდა განზრახვის გარეშე ქმედებისათვის. კვაზი-დელიქტები უახლოვდებოდა ნამდვილს დელიქტებს იმაში, რომ ზიანი სახეზეა, მაგრამ ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი მათ შორის ის არის, რომ ნამდვილი დელიქტის დროს სახეზეა ზიანის მიმყენებლის განზრახვა, ფსევდო-დელიქტის დროს

კი- დაუდევრობა. სწორედ ამიტომ არ შეიდოდა კვაზი-დელიქტები ნამდვილ დელიქტთა რიცხვში, თუმცა პასუხისმგებლობა მაინც დგებოდა.

კვაზი-დელიქტების სახეები იყო:

- როცა მოსამართლე არასწორ განაჩენს გამოიტანდა.ამ დროს დაზარალებულს შეჰქონდა სარჩელი და იღებდა ზიანის სრულ ანაზღაურებას.
- მეორე სახე იყო გადაყრა და გადაღვრა,თუ ეს ქმედება ვინმეს ზიანს მიაყენებდა დგებოდა პასუხისმგებლობის საკითხი.თუ ადამიანი მოკვდებოდა წესდებოდა ჯარიმა,თუ დაშავდებოდა ჯარიმა და მკურნალობის ხარჯებიც უნდა აენაზღაურებინა
- შემდეგი სახე იყო ნივთების არასწორად დადგმა-ჩამოკიდება,მაგალითად,ღარიბთა უბნებში ხშირად იყო ხოლმე გარეთ ჩამოკიდებული გასაშრობად ან ადგილის სიმცირის გამო ნივთები, რომელიმე მდიდარ რომაელს კი შეეძლო ეჩივლა,იმ შემთხვევაშიც თუ ზიანი არ მიადგებოდა.
- არსებობდა გემის,სასტუმროსა და ბანკების მეპატრონეთა პასუხისმგებლობის საკითხი,მიუხედავად იმისა,რომ მათ არ უნდოდათ,რომ მათ მომხმარებელს რაიმე დაეკარგათ,პასუხისმგებლობა მაინც მათ ეკისრებოდათ.

39. კონსესუალური ხელშეკრულებები (10 ქულა)

კონსესუალური ხელშეკრულებები,ისეთი ხელშეკრულებებია,რომელთა ნამდვილობისათვის საკმარისია მხოლოდ მხარეთა შეთანხმება.ასეთი სახის ხელშეკრულებები დიდად უწყობდა ხელს აღებ-მიცემობას რომში.კონსესუალური ხელშეკრულება შეიძლება დადებულიყო მხარეთა დაუსწრებლადაც, მათ შორის წერილების გაცვლითა თუ შუამავლის მეშვეობით.კონსესუალური ხელშეკრულებებიდან აღსანიშნავია: ყიდვა-გაყიდვის, ქირავნობის, ნარდობის,მინდობილობის, ამხანაგობის ხელშეკრულებები.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება(**emptio-venditio**) გაცვლის ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოყალიბდა.მისი ძალით ერთი მხარე,გამყიდველი - **venditor** ვალდებულებას კისრულობდა გადაეცა მეორე მხარისათვის,მყიდველისათვის - **emptor** ,ნივთი, ქონება ან სხვა სიკეთე,ხოლო მეორე მხარე - მყიდველი ვალდებულებას კისრულობდა გადაეხადა გამყიდველისათვის ნივთის ფასი - **pretium**.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საგანია ყველა სახის ნივთი თუ ქონება, რაც სამოქალაქო ბრუნვიდან არ არის ამოღებული. ასევე აუცილებელი არ იყო გასაყიდი ნივთის სახეზე არსებობა. ეს ხელშეკრულება შეიძლებოდა დადებულიყო ჯერ კიდევ არარსებულ ნივთზე (მაგალითად მარცვალზე). ასევე ყიდვა-გაყიდვის საგანი შეიძლება ყოფილიყო არა მხოლოდ სხეულებრივი ფიზიკური საგნები არამედ **res incorporalis** ანუ არასხეულებრივი, არაფიზიკური სიკეთე (მაგალითად მოთხოვნის უფლება, უზუფრუქტის უფლება).

მომსახურების ქირავნობა ისეთი კონსესუალური სახის ხელშეკრულებაა, რომლის ძალითაც ერთი მხარე, დაქირავებული თავის თავზე იღებდა ვალდებულებას შეესრულებინა მეორე მხარის, დამქირავებლის სასარგებლოდ გარკვეული სამსახური, ხოლო დამქირავებელი კისრულობდა ვალდებულებას ამ მომსახურებისთვის დაპირებული საზღაური.

მომსახურების ქირავნობა შესაძლოა ყოფილიყო როგორც ვადიანი, ასევე უვადო. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ორივე მხარეს ჰქონდა უფლება ნებისმიერ დროს განეცხადებინა უარი ხელშეკრულებაზე და დაერღვია იგი.დაქირავებული ვალდებული იყო გარკვეულ ვადაში ზუსტად შეესრულებინა თავისი ვალდებულება და არ დაიშვებოდა მონაცვლეობა,ანუ დაქირავებულის ფუნქციების სხვაზე გადაბარება.

ნარდობის ხელშეკრულება კონსესუალური ხასიათის ხელეკრულებაა. იგი იდებოდა რაიმე სამუშაოს შესასრულებლად, მაგალითად, სახლის, ხიდების ასაგებად. ამ ხელშეკრულების ძალით, ერთი მხარე, მენარდე ან შემსრულებელი, ვალდებულებას კისრულობდა მეორე მხარის, დამკვეთის სასარგებლოდ შეესრულებინა გარკვეული სამუშაო, ხოლო დამკვეთი კისრულობდა ვალდებულებას, შესრულებული სამუშაოსთვის გადაეხადა შესაბამისი თანხა.ნარდობის ხელშეკრულება ვადიანი იყო, რადგან აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამუშაოს შესრულების შედეგს, ანუ შედეგის დადგომისთანავე ხელშეკრულება ძალას კარგავდა. მენარდეს შეეძლო გამოეყენებინა სხვა პირებიც.

დავალების ანუ მინდობილობის ძალით ერთი პირი - მარწმუნებელი ავალებდა მეორე პირს რწმუნებულს რაიმე მოქმედების შესრულებას, ეს უკანასკნელი კი თავის თავზე იღებდა უსასყიდლოდ შეესრულებინა ესა თუ ის მოქმედება.რომაული ტერმინოლოგიით, პირი, ვინც დავალებას აძლევს, იწოდება **mandans**, ხოლო რწმუნებული, რომელიც დავალების შესრულებას კისრულობს - **procurator**.

დავალების ხელშეკრულების ძალით შეიძლება შესრულდეს, რგორც იურიდიული მოქმედება, ისე ფაქტობრივი ხასიათის სამუშაოები, ოღონდაც უსასყიდლოდ.

მინდობილობის ხელშეკრულების მთავარი შინაარსი იყო მის უსასყიდლობაში, რასაც რომაელი იურისტები ხსნიდნენ იმით, რომ დავალებას საფუძვლად ედო მეგობრობის ან ზნეობრივი პრინციპები. დავალება შესრულებული უნდა ყოფილიყო მარწმუნებლის მითითების ზუსტი შესაბამისობით. დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა ხდებოდა მხარეთა ინიციატივით ან რომელიმე მხარის გარდაცვალებით.

ამხანაგობის ხელშეკრულების ძალით ორი ან რამდენიმე პირი ერთიანდებოდა რაიმე სამეურნეო საქმიანობის შესასრულებლად. მათი მიზანი და საქმიანობა კი კანონსაწინააღმდეგო არ უნდა ყოფილიყო. რომაული სამართალი კრძალავდა ამხანაგობის ისეთ ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც ხელშეკრულების ერთ მხარეს ან მონაწილეს ეკისრებოდა მხოლოდ ზარალის ანაზღაურება, ხოლო მეორე მხარეს მხოლოდ მოგების მიღება.

ამხანაგობის ხელშეკრულებით წარმოშობილი დაწესებულება, არ წარმოადგენდა იურიდიულ პირს. ამხანაგობის ხელშეკრულება წყდება ერთ-ერთი მონაწილის სიკვდილით ან მისი რომელიმე წევრის მიერ თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

ხელშეკრულების ძალით მოგებაც და ზარალიც,ერთობლივი საქმის წარმოების პროცესში, ამხანაგობის ყველა მონაწილეზე იყოფოდა შეტანილი წილისა თუ შესრულებული სამუშაოს მიხედვით, ხოლო თუ ასეთი რამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული არ იყო, მაშინ თანაბრად.

40. ლეგისაქციური,ფორმულარული და ექსტრაორდინალური პროცესი (10 ქულა)

- **1.ლეგისაქციური**

„აქციო“ ნიშნავდა მოქმედებას,ხოლო **leges** კანონს.ლეგისაქციო ნიშნავდა ისეთ განცხადებას,რომელიც ზუსტად შეესაბამებოდა კანონის ტექსტს.

ლეგისაქციური პროცესის სახეებია:

1. **legisactio per sakramentum** - ეს პროცესი ეხებოდა ქონების შესახებ დავების განხილვასა და გადაწყვეტას.სასამართლოში მიჰქონდათ ის ნივთი,ან სიმბოლური ნივთი,რომელზეც მიმდინარეობდა დავა,მოსარჩელე ჯოხს ადებდა ნივთს და აცხადებდა,რომ ეს მისი საკუთრება იყო,იმავეს აკეთებდა მოპასუხეც,ამ დროს მათ მაგისტრატი „გააშველებდა“ და მოსარჩელე უსვამდა კითხვას მოპასუხეს.ამ პროცესის საბოლოო მომენტი ის იყო,როცა მოსარჩელე ამბობდა,რომ რამდენადაც ის იყო მართალი,ჩამოდიოდა 50 ან 500 ასს,შემდეგ უკვე მოსამართლე წყვეტდა დავას.ეს თანხა ანუ საკრამენტუმი წაგებულს არ უბრუნდებოდა,ის გადადიოდა ქურუმის,შემდეგ კი სახელმწიფოს ხაზინაში.
2. **legisactio per manus inectionem** - ეს იყო ლეგისაქციური პროცესის ისეთი სახე,როცა პირს ჰქონდა ვალი ან მაგისტრატის წინაშე თავს ვალდებულად ცნობდა,მისი მევალე 30 დღის შემდეგ მას თან წაიყვანდა.სასამართლოში მას თავად არ შეეძლო თავის მართლება,ამიტომ მას იცავდა მაგიერი კაცი **vindex**.
3. **legisactio per condictionem** - ისეთი სახეა,როცა პირი მოითხოვდა რაიმე ნივთს ან ფულს, მოპასუხე კი თავს ვალდებულად არ ცნობდა.ამ დროს მოსარჩლეს ის სასამართლოში მიჰყავდა.
4. **legisactio per iudicis postulationem** - ამ დროს მოსარჩელე თავად ირჩევდა მოსამართლეს,ეს ხდებოდა ქონების გაყოფის დროს.
5. **legis actio per pignoris capionem** - როცა მოდავეები სასამართლოს გარეშე წყვეტდნენ საქმეს,ვალის არ გადახდის შემთხვევაში მევალეს რაიმე ნივთს წაიღებდა გირაოდ და ვალის გადახდამდე არ უბრუნებდა.

➢ 2.ფორმულარული

ლეგისაქციური პროცესი,მისი პრაგმატული და რთული სისტემა ჩაანაცვლა ფორმალურმა პროცესმა. **წარმოება (in iure)**. მოსარჩელე მიმართავდა იურისტებს, რომელთა დახმარებითაც ადგენდა სასარჩელო განცხადებას. შედგენილი სასარჩელო განცხადების შესახებ ეცნობებოდა მოპასუხეს, რათა ის სათანადოდ მომზადებულიყო. სასარჩელო განცხადება შედიოდა მაგისტრატთან და არა სასამართლოში. მაგისტრატი იბარებდა მოპასუხეს.

ამ უკანასკნელის მაგისტრატთან გამოუცხადებლობა იწვევდა ჯარიმას, ხოლო სასამართლოში გამოუცხადებლობა კი მისი ქონების გადაცემას მოსარჩელისათვის. მაგისტრატის წინაშე როგორც მოსარჩელე, ასევე მოპასუხე ასაბუთებდნენ საკუთარ სამართლიანობას. მაგისტრატთან შეიძლება დაებარებინათ მხარეთა მიერ დასახელებული პირები, რომელთაც ეწოდებოდათ **cognitores, prodecutores**, ისინი არ იყვნენ მხარეთა წარმომადგენლები, არამედ ასაბუთებდნენ მხარეთა მოთხოვნებს.

მაგისტრატი (ამ შემთხვევაში მის როლში გამოდის პრეტორი) იხილავდა საბუთებს, უსმენდა მხარეებს, მაგრამ საქმეს ვერ წყვეტდა. იგი ამზადებდა საქმეს წერილობით და ჩამოაყალიბებდა საკუთარ მოსაზრებებს, დანიშნავდა მოსამართლეს და ბრძანებით გადასცემდა საქმეს განსახილველად.

პრეტორის მიერ შედგენილ წერილობით დოკუმენტში გათვალისწინებული იყო შემდეგი მონაცემები:

1. **iuditio nominatio** - მოსამართლის დასახელება, რომელსაც საქმე უნდა განეხილა;
2. **intentio** - მოსარჩელის პრეტენზიები;
3. **Adiudicatio** - მოსამართლისათვის უფლების მინიჭება, მიაკუთვნოს მოსარჩელეს საკუთრების უფლება;
4. **condemnatio** - მოსამართლისთვის მითითება, მსჯავრი დაადოს მოპასუხეს ან გაათავისუფლოს იგი პასუხისმგებლობისაგან (იგულისხმება ქონებრივი პასუხისმგებლობა);
5. **rescriptio** - მითითება იმ განსაკუთრებულ გარემოებებზე, რაც მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს საქმის დასაწყისშივე;
6. **exceptio** - მოპასუხის შესიტყვებათა გადმოცემა, ანუ ახალი ფაქტებისა თუ ახალი საბუთების შემოწმების აუცილებლობა, რომელთა აღმოჩენა და დადასტურება საქმეს სხვანაირად წარმართავდა.

ფორმულარული პროცესი განასხვავებდა სარჩელის ოთხ სხვადასხვა ტიპს, მათ შორის:

1. **Actionesin rem** - სანივთო სარჩელები იყო. აქ მოსარჩელე მოითხოვდა ნივთზე უფლების აღიარებას.
2. **Actiones in personam** - პირადი, ანუ პერსონალური სარჩელები იყო და მოითხოვდა მოვალის პერსონისაგან ვალდებულების შესრულებას.
3. **actiones rei persecutoriae** - გულისხმობდა ნივთის ან ფულის უკან დაბრუნებას, გამოთხოვას.
4. **Actiones poenales** - გულისხმობდა მოპასუხის დასჯას, ქონებრივი სანქციის შეფარდებას.
5. **Actiones private** - წარმოადგენდა გარკვეული პირი, ხოლო
6. **actiones populares** - შეიძლება წარედგინა ნებისმირ პირს, რომლის უფლებებიც არ იყო დარღვეული, მაგრამ ხელმძღვანელობდა ხალხის საერთო ინტერესებით.
7. **Actiones civiles** - ეფუძნებოდა ცივილურ სამართალს.
8. **Actiones honorariae** - ეფუძნებოდა პრეტორის მიერ დადგენილ წესებს.

მოსამართლის გადაწყვეტილება საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

➢ 3.ექსტრაორდინალური

ექსტრაორდინალური პროცესი რომში იმპერიის პერიოდში ჩამოყალიბდა,ექსტრაორდინალური ნიშნავს საგანგებოს,არაჩვეულებრივს.ამ პროცესის დროს დავებს განიხილავს არა ნაფიცმსაჯულთა სასამართლო,არამედ მაგისტრატები.

პრინცეფსი თავისი იმპერიუმების ძალით უფლებას აძლევდა მოხელეებს განეხილათ სხვადასხვა საქმეები,ამ უფლებას ეწოდებოდა **iudex datus**. ეს მოხელეები იყვნენ **praefectus urbi** ქალაქების პოლიციის უფროსები,გამგებლები,რექტორები...ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეებს იხილავდნენ ასევე ადვოკატთა რიცხვიდან არჩეული მოსამართლეები.

თითოეულ სასამართლოსთან იყვნენ საქმეების მომმზადებელი მოხელეები,ე.წ. **assesores** და **consilari**. თითოეულ სასამართლოსთან ყალიბდებოდა ადვოკატთა კორპორაციები,მაგალითად რომის პრეფეცტუმ პრეტორიესთან არსებულ კორპორაციაში 150 ადვოკატი შედიოდა.დაწესდა სასამართლო გადასახადები.

41. მამის ხელისუფლების წარმოშობა და შეწყვეტა (10 ქულა)

რომაულ ოჯახში შვილზე,იქნებოდა ის ცოლშვილიანი თუ უცოლშვილო ვრცელდებოდა მხოლოდ მამის(და არა დედის) ხელისუფლება.მამის ხელისუფლებაში მყოფ ვაჟს ჰქონდა კომერციის უფლება,მაგრამ ყველა სახის შემოსავალი მამის ქონებაში გადადიოდა.მხოლოდ იმპერატორ იუსტინიანეს ეპოქაში დადგინდა,რომ შვილის მონაგები ეკუთვნის შვილს.

რომაულ სამართალში მშობლებსა და შვილებს შორის პირადი ურთიერთობები თანდათან დემოკრატიულ ცვლილებებს განიცდიდა.მაგალითად,უძველესი რომაული სამართალი ნებას რთავდა მამას ჰქონოდა განუსაზღვრელი უფლებები შვილზე, თვით ფიზიკურ განადგურებამდეც კი. მაგრამ შემდგომში ეს წესი შეიცვალა და დადგინდა, რომ მამას უფლება ჰქონდა დაესაჯა შვილი ოჯახში, აეძულებინა იგი პატივი ეცა მშობლებისათვის. შვილები კი მოვალენი იყვნენ მშობლების მითითება აესრულებინათ ან დაქორწინებულიყვნენ მათი ნების გარეშე.

მამის ხელისუფლება შვილზე წარმოიშობოდა:

1. კანონიერი ქორწინების შედეგად შვილის დაბადების დღიდან ან შვილად აყვანის დაკანონებით (შეიძლებოდა არარომაელი ბავშვების შვილად აყვანაც);
2. კონკუბინატის ან უკანონო ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვზე, თუ მას მამა თავის შვილად ცნობდა;
3. ნაყიდ ბავშვებზე.

მამის ხელისუფლება წყდებოდა:

1. მამის გარდაცვალებით;
2. ბავშვის გარდაცვალებით;
3. მამისათვის მამის ხელისუფლების ჩამორთმევით;
4. შვილად აყვანილის მიერ რაიმე საპატიო წოდების მიღება უფლებას აძლევდა გამოსულიყო მამის ხელისუფლებიდან;
5. ემანსიპაციის გზით, თუ მამა ათავისუფლებდა თავის ხელისუფლებაში მყოფს და ეს უკანასკნელიც თანახმა იყო ამაზე.

42. ქორწინება,ქორწინების პირობები და მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი (10 ქულა)

რომაელი იურისტები ქორწინებას განმარტავდნენ როგორც ქალისა და მამაკაცის თავისუფალ და თანასწორ კავშირს სინამდვლეში კი ქალი არასოდეს ყოფილა მამაკაცის თანასწორი რომში.

რომის სამართალი იცნობდა ორი სახის ქორწინებას:

1. **კანონიერი რომაული ქორწინება, როცა ორივე მხარე რომაელია;**
2. **რომაელ მოქალაქეთა ქორწინება პერეგრინებზე. რომელთა უფლებრივი მდგომარეობა განისაზღვრებოდა რომის სამოქალაქო სამართლით.**

რომის სამართალი იცნობდა ასევე ქორწინებას,რომლის ძალითაც ქალი მამაკაცის, ქმრის ძალაუფლებას ექვემდებარებოდა (**cum manu**) და ქორწინებას, რომლის ძალითაც ქალი არ შედიოდა ქმრის ძალაუფლებაში და წინანდელ ოჯახში რჩებოდა, ანუ ექვემდებარებოდა მამის ხელისუფლებას (**sine manu**). რომაული სამართალი იცნობდა ფაქტობრივ ქორწინებას (არაიურიდიული ქორწინება), რომელსაც ეწოდებოდა **კონკუბინატი.** ეს იყო ქალისა და მამაკაცის ერთად ცხოვრება ხანგრძლივი დროის მანძილზე, რომელთა ქორწინება იურიდიულად არ შეიძლებოდა გაფორმებულიყო მხარეთა სოციალური

განსხვავებების გამო.

ქორწინების პირობები:

1. საქმროსა და საცოლის თანხმობა; ზოგჯერ მშობლების თანხმობაც საჭირო გახლდათ;
2. საქორწინო ასაკი. ქალისათვის – 12 წელი; კაცისათვის – 14;
3. მექორწინენი არ უნდა ყოფილიყვნენ ქორწინებაში;
4. არ უნდა ჰქონოდათ ქორწინებისთვის დამაბრკოლებელი გარემოებანი;
5. არ უნდა არსებულიყო მექორწინეთა შორის ნათესაური კავშირი;
6. ქორწინებისათვის გარკვეული რიტუალების დაცვა იყო აუცილებელი.

ქორწინების შედეგად ქალი და მისი ბავშვები შედიოდნენ ქმრის დაქვემდებარებაში. ქმრის ძალაუფლება აანუსაზღვრელი იყო. მას ცოლის მოკვლის უფლებაც ჰქონდა (ღალატის შემთხვევაში). მას შემდეგ რაც ცოლი შევიდოდა ქმრის ოჯახში, იგი კარგავდა კავშირს მამის ოჯახთან და ექვემდებარებოდა ქმრის ძალაუფლებას. ქალი მოკლებული იყო პირად უფლებებს. ცოლის ქონება ქმრის ქონება ხდებოდა, ამიტომ მას არ შეეძლო დამოუკიდებლად დაედო გარიგება, დამოუკიდებლად გამოსულიყო სასამართლოში. ამ წესს გამონაკლისი იმ შემთხვევაში ჰქონდა თუ ქალი საკუთარი მამის ძალაუფლებაში რჩებოდა.

ქორწინების შეწყვეტა ხდებოდა შემდეგ შემთხვევებში:

1. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით;
2. ერთ-ერთი მეუღლის დაპატიმრებით;
3. ერთ-ერთი მეუღლისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევით;
4. განქორწინებით.

განქორწინების ინიციატივის უფლება კლასიკურ პერიოდში ჰქონდა როგორც მამაკაცს ისე ქალს. იმპერატორმა იუსტინიანემ აკრძალა თავისუფალი განქორწინება და დაადგინა რომ განქორწინების უფლება ჰქონდა მეუღლეს, თუ მისი მეუღლე უღალატებდა, დაემუქრებოდა სიკვდილით, ან ჩაიდენდა მკვლელობის მცდელობას, ან სხვა სახის დანაშაულს მეუღლის წინააღმდეგ. განქორწინება დაიშვებოდა ასევე ქორწინებისათვის უვარგისობისა თუ მონაზვნად აღკვეცის შემთხვევაში.

43. რეალური ხელშეკრულებები (10 ქულა)

რეალური ხელშეკრულება ეს ისეთი ხელშეკრულებაა,რომელიც გულისხმობს ნივთის უშუალოდ გადაცემას. რეალური ხელშეკრულების სახეები: **სესხის, ნათხოვრობის (ან განათხოვრების), შენახვის, დაგირავების ხელშეკურებები.**

სესხის ხელშეკრულების ძალით გამსესხებელი გადასცემს მსესხებელს გარკვეული ხარისხის, გარკვეული ოდენობისა თუ გარკვეული ღირებულების ნივთებს, სურსათ-სანოვაგეს, ფულს. მსესხებელი ღებულობს ამ ნივთებს საკუთრებაში და ვალდებულებას კისრულობს დააბრუნოს ასეთივე სახის, ასეთივე რაოდენობისა თუ ღირებულების საქონელი. მსესხებელი ვალდებულია პასუხი აგოს ნივთის განადგურების შემთხვევაში მაშინაც კი, თუ მას არ უსარგებლია ამ ქონებით.

სესხის ხელშეკრულების დროს ვალდებულება წარმოიშობა არა უბრალო შეთანხმებით, არამედ მხოლოდ ნივთის გადაცემის შემდეგ. სესხის ხელშეკრულება ცალმხრივი ხელშეკრულებაა. სესხის ამღებს არავითარი უფლება არ აქვს, მან უკვე მიიღო გარკვეული ქონება. სესხის ხელშეკრულება შეიძლება იყოს სასყიდლიანი და უსასყიდლოც, ეს განისაზღვრება ხელშეკრულების დადებისას. სესხის პროცენტი მერყეობდა 1-დან 8%-მდე. სესხის ხელშეკრულება შეიძლება დადებულიყო გარკვეული ან გაურკვეველი დროით.

თხოვების ხელშეკრულების ძალით ერთი პირი მეორეს უთმობდა გარკვეულ კონკრეტულ ნივთს უსასყიდლოდ სარგებლობისთვის, გარკვეული დროით, იმ პირობით, რომ სარგებლობის შემდეგ იმავე ნივთს უვნებლად და დაუზიანებლად დაუბრუნებდა. ამ ხელშეკრულებით მოვალეობა ეკისრება ნივთის მიმღებს. იგი ვალდებულია პასუხი აგოს ნივთის დაზიანებისათვის ყველა შემთხვევაში - როგორც უხეში გაუფრთხილებლობის, ისე მსუბუქი დაუდევრობის დროს. ნივთის მიმღები მხოლოდ მაშინ გათავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან თუ ადგილი ჰქონდა შემთხვევას - **casus**.

თხოვების ხელშეკრულება ორმხრივი ხელშეკრულებაა. აქ ნივთის გამნათხოვრებელს მოვალეობა

ეკისრება გადასცეს ხარისხიანი (ჯანსაღი) ნივთი, და უფლებამოსილია მოითხოვოს მისი ასეთივე ხარისხში დაბრუნება. მთხოვნელი კი უფლებამოსილია მიღიოს ხარისხიანი ნივთი და ვალდებულია დააბრუნოს იგი იმავე მდგომარეობაში. თუ გამნათხოვრებლისათვის წინასწარ იყო ცნობილი თავისი პირუტყვის ავადმყოფობა, მას პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. თხოვების ხელშეკრულება შეიძლება ვადიანი ყოფილიყო. რომის სამართალი ასევე იცნობდა თხოვების ხელშეკრულების ცალკე სახეს - მოთხოვნამდე განათხოვრებას, ე.წ. პრეკარიუმს.

შენახვის ხელშეკრულება (depositum) - ამ ხელშეკრულების ძალით ერთი მხარე გადასცემდა მეორე მხარეს, შემნახველს ნივთს თუ ტვირთს, ქონებას უსასყიდლოდ შესანახად. ნივთის შესანახად გადამცემი, მიმბარებელი შეიძლება იყოს ან არ იყოს ამ ნივთის მესაკუთრე; საგანი შეიძლება იყოს ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი. ნივთის მიმბარებლის მიზანია ნივთის შენახვა. ნივთის შემნახავი არც მესაკუთრე ხდება და არც მფლობელი. ნივთის შესანახად გადაცემა შეიძლება იყოს განსაზღვრული დროით ან მოთხოვნამდე. შენახვის ხელშეკრულება უსასყიდლო ხელშეკრულებაა. მაგრამ ეს არ ათავისუფლებდა შემნახველს,რომ მას ნივთი დაეკარგა ან განზრახ გაეფუჭებინა. შემნახველი პასუხს არ აგებდა მხოლოდ გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, რადგან მოქმედებდა ტვირთისა თუ საგნის შესანახად გადამცემის ინტერესებიდან გამომდინარე.

გირავნობის ხელშეკრულების ძალით ნივთის(ქონების) დამგირავებელი მზად იყო ხელშეკრულების შესასრულებლად და თუ იგი არ შეასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს დაგირვებულ ნივთს კარგავდა.ნივთის დამგირავებელს უნდა დაეგირავებინა ხარისხიანი ნივთი და ზიანი არ უნდა მოეტანა გირაოს ამებისათვის,ხოლო გირაოს ამღები ვალდებული იყო მზრუნველობით მოჰკიდებოდა ნივთს,ხელშეკრულებით დათქმული პირობების ასრულების შემდეგ დაებრუნებინა იგი დამგირავებლისათვის.

44. რომის სახელმწიფო რესპუბლიკის პერიოდში(სახალხო კრებები,სენატი,მაგისტრატები) (10 ქულა)

რესპუბლიკის პერიოდი მოიცავს ჩვ. წ. აღ-მდე V-I საუკუნეებს.ეს არის პერიოდი მონათმფლობელური რომის დემოკრატიის აყვავებისა, რომელიც, თავის მხრივ, ორ პერიოდად იყოფა:

1. **ადრინდელი რესპუბლიკის პერიოდი (V-II სს.)**
2. **გვიანდელი რესპუბლიკის პერიდი (II-I სს.)**

რესპუბლიკის პერიოდში რომში მოქმედებდა შემდეგი სახელმწიფო ორგანოები და დაწესებულებები:

1. **სახალხო კრებები**
2. **სენატი**
3. **მაგისტრატურა**

რესპუბლიკის პერიოდში რომში იყო სამი სახის კრება:

1. **კურიის სახალხო კრება;**
2. **ცენტურიის სახალხო კრება;**
3. **ტრიბას სახალხო კრება.**

რესპუბლიკის პერიოდში **კურიათა სახალხო კრება** კარგავს ადრინდელ გავლენას და რაიმე მნიშვნელოვან ფუნქციას აღარ ასრულებს. მათი ძირითადი ფუნქცია იყო არჩეული თანამდებობის პირებისათვის ხელისუფლების ფორმალურად მინიჭება, ანუ მათი დამტკიცება. შემდგომში კურიის სახალხო კრება შეცვლა 30 ლიქტორთა(საპატიო მცეველები,რომლებიც ახლდნენ მაგისტრატებს) კრებამ.

ცენტურიის კრება ანუ კომიცია ცენტურია პირველად ჩამოყალიბდა სერვიუს ტულიუსის რეფორმებით და რესპუბლიკის პერიოდში სახალხო კრების ძირითად სახეს წარმოადგენდა. მის კომპეტენციაში შედიოდა მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხების განხილვა. ასეთი კრება ირჩევდა უმაღლეს თანამდებობის პირებს,ღებულობდა კანონ-პროექტებს, რომლებიც კრებაზე განსახილველად შემოჰქონდათ მაგისტრატებს. მათ გააჩნდათ სასამართლო ფუნქციაც, იხილავდნენ მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებზედაც შეიძლებოდა სასჯელად გამოეყენებინათ სიკვდილით დასჯაც კი.

ტრიბას კრება ანუ კომიცია ტრიბატა წარმოადგენდა სამოქალაქო დაწესებულებების ანუ

ტერიტორიული ოლქების კრებას. არსებობდა ორი სახის ტრიბის კრება:

1. **კრება, რომელსაც ესწრებოდნენ პატრიციები და პლებეები ერთად;**
2. **კრება მხოლოდ პრებეებისათვის.**

ტრიბას კრებაზე ირჩევნდნენ თანამდებობის პირებს, მაგალითად:**ედილებს, კვესტორებს, ცენზორებსა** და სხვა.ღებულობდნენ და ამტკიცებდნენ პრეტორის მიერ შეტნილ კანონპროექტებს, მასვე ექვემდებარებოდა ზოგიერთი ქურუმის არჩევა.

რესპუბლიკის პერიოდში სახლხო კრებებს იწვევდნენ მაგისტრატების ინიციატივით.

სენატი - რესპუბლიკის პერიოდში ერთადერთი მუდმივმოქმედი კონსტიტუციური ორგანო გახდა, რომელმაც უჩვეულოდ დიდი ხელისუფლება მოიხვეჭა და პატრიციების, ხოლო მოგვიანებით ნობილიტეტის დასაყრდენად იქცა.

სენატორთა დანიშვნა ხდებოდა კონსულების მიერ,ხოლო მე - 4 ს-დან კი - ცენზორი ნიშნავდა.ყოველ 5 წელიწადში სენატორთა სია გადაისინჯებოდა.სენატის სხდომებს მაგისტრატები ხელმძღვანელობდნენ. სენატის უფლებამოსილებაში შედიოდა ცენტურიისა და ტრიბის კრებების მიერ მიღებული კანონების დამტკიცება.მე-4 საუკუნიდან სენატს დაევალა კანონების წინასწარი განხილვა.სენატს ჰქონდა ვეტოს უფლება.

სენატი გამოსცემდა განკარგულებებს საზოგადებრივი უშიშროების, კეთილმოწყობისა თუ სხვა საკითხებზე. სენატი ადგენდა ქვეყნის ბიუჯეტს 5 წლით სამხედრო ბიუჯეტს - 1წლით.სენატი აწესებდა გადასახადებს. სენატი აქტიურად მონაწილეობდა საგარეო პოლიტიკაში. სენატს შეეძლო დაენიშნა დიქტატორი ან მიენიჭებინა მაგისტრატებისათვის შეუზღუდავი ძალაუფლება. სენატი განაგებდა რელიგიური კულტის საკითხებსაც.

მაგისტრატები - Magistratus - რომის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების თანამდებობის პირები იყვნენ. რომში ცნობილი იყო მაგისტრატების შემდეგი თანამდებობები:

- **დიქტატორის** (არაორდინალური, საგანგებო მაგისტრატი) დანიშვნა ხდებოდა, ომების, რევოლუციების ან სხვა საგანგებო მდგომარეობების დროს, რათა ამ უკანასკნელს დაემყარებინა წესრიგი. მისი მოქმედების არეალი შეუზღუდავი იყო. დიქტატორის დასანიშნად, სენატი წინადადებას აძლევდა კონსულს. ეს უკანასკნელი დიქტატორს ნიშნავდა 6 თვის ვადით.
- **კონსულების** თანამდებობა დაწესდა, როცა გაუქმდა რექსების თანამდებობა (ჩვ.წ.-მდე 509 წ.) და აირჩიეს ორი კონსული.

თავდაპირველად ირჩევდნენ მხოლოდ პატრიციებს, ხოლო ჩვ.წ.აღ.-მდე 367 წლიდან კი ერთ-ერთი კონსული პლებეი უნდა ყოფილიყო.კონსულები უმაღლესი რანგის მაგისტრატები იყვნენ.ისინი სენატთან ერთად აწარმოებდნენ ომს, იწვევდნენ ცენტურიებისა და ტრიბების კრებებს, ასევე სენატის კრებებს და თავმჯდომარეობდნენ მას. რომში ამ თანამდებობას, ფაქტობრივად რამოდენიმე დიდგვაროვანი ოჯახი განაგებდა.

პრეტორი იყო კონსულის თანაშემწე,იგი ცვლიდა კონსულს,ხელმძღვანელობდა ჯარს და ასრულებდა კონსულის დავალებებს. არსებობდა როგორც რომაელების პრეტორი (**preator urbanus**), ასევე **preator peregrinus**, ეს უკანასკნელი იხილავდა დავებს უცხოელებსა და რომაელებს შორის, ან მარტო უცხოელებს შორის. თავისი საქმიანობისას პრეტორი გამოსცემდა ედიქტებს, რომელმაც რომში ცალკე, **პრეტორული სამართლის სახე მიიღო.**

ცენზორის თანამდებობა წარმოიშვა პატრიციებისა და პლებეების ბრძოლის გამო ცენზორს ირჩევდნენ 5 წლის ვადით. მის ძირითად მოვალეობას წარმოადგენდა მოქალაქეთა განაწილება **ცენტურიებსა** და **ტრიბებში** - ქონებრივი ცენზის, ასაკის და კლასობრივი კუთვნილების გათვალისწინებით. ისინი აგრეთვე ადგენდნენ სენატორთა, მონათა, თავისუფალ მოქალაქეთა, მოსამართლეთა, აგრეთვე მხედრების სიებს და ახორციელებდნენ მეთვალყურეობას საზოგადოებრივ წესრიგზე. თავიანთი მუშაობის შესახებ ადგენდნენ ანგარიშებს ე.წ. **Tabulae censoriae**.

ედილი – განასხვავებდნენ:

1. **პლებსის ედილი** – იცავდა პლებეების ტაძრებს, მათ განძეულობას;

2. **კურულის ედილი** – მათი საქმიანობა იყო პურის, მოსავლის თუ სხვა სახის საკვების მოყვანასა და განაწილებაზე ზრუნვა, სანახაობებზე წესრიგის დამყარება, ქალაქებში წესრიგის დაცვა.
3. **სერეალის ედილი** – მეთვალყურეობდნენ არჩევნების ჩატარების კანონიერებას. მათ ფაქტობრივად საპოლიციო ფუნქციები ჰქონდათ.

პლებსის ტრიბუნი თავდაპირველად მხოლოდ პლებეების ინტერესებს იცავდა. შემდგომ მათი უფლებამოსილება გახდა მაგისტრატების განკარგულებებზე ვეტოს დადება. ისინი მონაწილეობდნენ სენატის სხდომებში, იწვევდენ პლებეების კრებებს. მისი პიროვნება ხელშეუხებელი იყო, მისი ხელყოფისათვის სიკვდილით სჯიდნენ. პლებსის ტრიბუნს სპეციალურ კრებებზე რამდენიმე კაცის შემადგენლობით ირჩევდნენ. ამ კრებებზე პატრიციები არ მონაწილეობდნენ.

კვესტორები თავდაპირველად კონსულების თანაშემწეები იყვნენ. შემდგომში მათ მრავალნაირი ფუნქცია შეიძინეს: იხილავდნენ სადავო საქმეებს, განაგებდნენ ხაზინას, ახორციელებდნენ არქივების გამგებლობას, ასევე საგამომცემლო ფუნქციებს. პროვინციებში კვესტორები ფინანსურ საქმეებს განაგებდნენ.

45. საკუთრების უფლების შეძენის და შეწყვეტის გზები (10 ქულა)

საკუთრების უფლების შეძენის ხერხებიდან რომაელი იურისტები იცნობდნენ:

1. **თავდაპირველ გზას საკუთრების უფლების შეძენისა;**
2. **ნაწარმოებ გზას საკუთრების უფლების შეძენისა.**

საკუთრების უფლების შეძენის თავდაპირველ გზას ისინი განიხილავდნენ ისეთ გზად,რომლის დროსაც თავდაპირველი მესაკუთრე არ არსებობდა ან რომაული სამართლით ასეთი მესაკუთრე მესაკუთრედ არ ითვლებოდა.საკუთრების უფლების შეძენის თავდაპირველი ხერხებიდან უნდა აღინიშნოს **occupatio** ანუ არავის კუთვნილი, უპატრონო ქონების ხელში ჩაგდება. ასეთი ქონება იმის კუთვნილება ხდებოდა ვინც მას პირველი დაეპატრონებოდა. ასეთივე გზით შეიძლებოდა ხელში ჩაგდება და მესაკუთრედ გახდომა გარეულ ცხოველებზე, თევზებზე, მიტოვებულ ნივთზე და სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს განძის შესახებ. "ინსტიტუციებში" მითითებულია: თუ განძი პირმა თავის მიწაში იპოვა ან რელიგიურ ადგილზე, მაშინ ეს განძი მთლიანად მისია. თუ პირმა განძი სხვის მიწაში იპოვა, ან ცეზარის (იმპერატორს) მიწაში მაშინ ნახევარი მპოვნელს ეკუთვნის, ნახევარი კი მიწის მესაკუთრეს. თუ პირმა განძი საჯარო მიწაში იპოვა, მაშინ ნახევარი მპოვნელს ეკუთვნის, ნახევარი კი - სახელმწიფოს.

საკუთრების უფლების შეძენა ნაწარმოები გზით ისეთი გზა იყო როდესაც საკუთრება შეიძინებოდა ადრე არსებული მესაკუთრისაგან; მაგალითად ნივთის შეძენა გარიგებით.გარიგებით საკუთრების უფლების შესაძენად საჭირო იყო ნივთის გადაცემა (**traditio**) ანუ ახალი მესაკუთრესთვის ნივთის გადაცემა.ასევე არსებობდა საკუთრების უფლების შეძენის გზა მემკვიდრეობით.ასევე საკუთრების უფლების შეძენის გზა იყო ხანდაზმულობა - **usucapio**.

იუსტინიანემ ხანდაზმულობის ვადა უძრავ ქონებაზე განსაზღვრა 10-დან 20 წლამდე სხვა ნივთებზე 3 წელი.გარდა ამისა იუსტინიანემ ჩამოაყალიბა ხანდაზმულობის კანონიერების აუცილებელი მოთხოვნები:

1. **ნივთის (ქონების) მუდმივი ჭერა, ფლობა;**
2. **ნივთის კეთილსინდისიერი ფლობა**
3. **უნდა არსებულიყო ნივთის მფლობელობის კანონიერი საფუძველი.**

საკუთრების უფლების შეწყვეტა

რომაელი იურისტების აზრით, საკუთრების უფლება წყდებოდა:

1. **თუ ნივთი განადგურდებოდა ფიზიკურად;**
2. **თუ მესაკუთრე უარს განაცხადებდა საკუთრებაზე (შეეძლო საკუთრება სხვისთვის გადაეცა ან არ გადაეცა, მაგრამ უარი თქვა ნივთზე; მაგალითად გადაეგდო ნივთი);**
3. **თუ მესაკუთრეს ჩამოერთმეოდა საკუთრების უფლება მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, მაგალითად, კონფისკაციის გამო.**